TDI

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი

რასობრივი გამორჩევა საქართველოში

საპოლიციო სისტემაში ეთნიკური უმცირესობებისა და მიგრანტების მიმართ არსებული პოლიტიკა და პრაქტიკა

კვლევის ანგარიში

რასობრივი გამორჩევა საქართველოში

საპოლიციო სისტემაში ეთნიკური უმცირესობებისა და მიგრანტების მიმართ არსებული პოლიტიკა და პრაქტიკა

კვლევის ანგარიში

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)
2021

TDI

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი

ანგარიში მომზადებულია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) პროექტის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ.
ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებლები არიან ავტორთა ჯგუფი და ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი და ის შესაძლოა, არ ასახავდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) შეხედულებებს.

კვლევაზე მუშაობდნენ:
მკვლევრები: დეა ცარციძე, უფროსი მკვლევარი; სალომე ცარციძე, უმცროსი მკვლევარი
სამართლებრივი ექსპერტი: გიორგი მელაძე
სამართლებრივი კვლევის ასისტენტი: მარიამ ჯიქია
კვლევაში ასევე ჩართული იყვნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტები: გალაქტიონ ფახურიძე, ანა ბერია, ანა ებანოიძე
პროექტის ხელმძღვანელი: მარიამ ღავთაძე

რედაქტირება და კორექტურა: ელენე ჩაბრაძე
დიზაინი: ქეთევან ღონღაძე
ყდა: კოკა კიტია (Zimmmerit), Shutterstock

კვლევის ანგარიშში მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერ-ციული მიზნით აკრძალულია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) წერი-ლობითი ნებართვის გარეშე.

©ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), 2021
ვებგვერდი: www.tdi.ge

სარჩევი

შესავალი 5
კვლევის ძირითადი მიგნებები 8
კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია 10

1. საერთაშორისო გამოცდილება 12
1.1 რასობრივი გამორჩევა – დეფინიცია 12
1.2 რასობრივი გამორჩევის მაგალითები 13
1.3 რასობრივი გამორჩევა – ფუნდამენტური უფლებების დარღვევის საფუძველი 16
1.4 პოლიტიკა რასობრივი გამორჩევის წინააღმდეგ – საერთაშორისო გამოცდილება 20

2. რასობრივი გამორჩევა საქართველოში – თვისებრივი კვლევის შედეგები 22
2.1 რასობრივი დისკრიმინაციის და რასობრივი გამორჩევის განსაზღვრება 22
2.1.1 რა არის რასობრივი დისკრიმინაცია 22
2.1.2 რა არის რასობრივი გამორჩევა 24
2.1.3 როგორ განსაზღვრავენ რასობრივ გამორჩევას საპოლიციო ინსტიტუტის წარმომადგენლები 27
2.2 დისკრიმინაციული გამორჩევის გამოცდილება 28
2.2.1 დისკრიმინაციული გამორჩევა და სტერეოტიპები 28
2.2.2 დისკრიმინაციული გამორჩევა და გენდერი 30
2.2.3 დისკრიმინაციული გამორჩევა და რელიგია 31
2.2.4 რასობრივი გამორჩევა და სამართალდამცავი სტრუქტურა 32
ჩხრეკა და ქუჩაში გაჩერება 33
გამოუძიებელი საქმეები 35
პატიმრობა, როგორც აღკვეთის ყველაზე ხშირი ღონისძიება 36
გულგრილობა და ინფორმაციის არასრულად მიწოდება 37
დაკავება და პოლიციის განყოფილებაში გადაყვანა 37
2.2.5 დისკრიმინაციული გამორჩევა და ენობრივი ბარიერი 38
2.2.6 რასობრივი გამორჩევა საზღვრის კვეთისას 43
2.2.7 დისკრიმინაციული გამორჩევა და სახელმწიფო სერვისები 44

3. ნდობა სამართალდამცავი სისტემის მიმართ 49

4. პოლიციის ინფორმირებულობა და დამოკიდებულება კულტურული მრავალფეროვნების მიმართ 51

5. როგორ დავძლიოთ რასობრივი გამორჩევა – რეკომენდაციები 53
დანართი: კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია 56

შესავალი

რასობრივი გამორჩევის პრობლემა აქტუალურია სხვადასხვა ქვეყნის საპოლიციო ინსტიტუტების ყოველდღიურ საქმიანობაში. პოლიცია რუტინული პროცედურების განხორციელებისას ხშირად იყენებს ადამიანის ვიზუალურ მახასიათებლებს და სხვა პირად მონაცემებს. ასეთ შემთხვევაში ჩნდება იმის რისკი, რომ ეს მონაცემები საზოგადოების მოცემულ ჯგუფს პოლიციისთვის უფრო აქტუალურს გახდის, ანუ პოლიციელები გარკვეული ვიზუალური მახასიათებლების მქონე პირებს უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევენ, უპირობოდ ჩათვლიან მათ მომეტებული რისკის მქონეთ.

რასობრივი გამორჩევა შესაძლოა ცალკეულ პოლიციელთა მიზანმიმართულ რასისტულ ქცევას მოჰყვეს ან არსებული რასობრივი სტერეოტიპების უნებური შედეგიც კი იყოს. პირველ შემთხვევაში მნიშვნელოვანია პოლიციელის პროფესიონალიზმი და მორალური მზაობა, შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები; მეორე შემთხვევაში შესაძლოა პოლიციელზე გავლენას ახდენდეს საზოგადოებაში არსებული წარმოდგენები, მედიით გავრცელებული ინფორმაცია, საერთო განწყობა. რასობრივი გამორჩევა შესაძლოა ინსტიტუციური საწყისებიდანაც გამომდინარეობდეს. პოლიციის მთავარი ინსტრუქტაჟის ნაწილი შეიძლება იყოს გარკვეული ტაქტიკის გამოყენება, რომელიც გამორჩევის საფუძველი ხდება ან კონკრეტულ სამეზობლოებზე ფოკუსირება, რომელიც არათანაბარ პირობებში აყენებს სხვადასხვა ეთნიკურ/რელიგიურ ჯგუფებს.

რასობრივი გამორჩევა გულისხმობს სამართალდამცველების დისკრიმინაციულ და სტერეოტიპულ ქმედებებს, როდესაც პირის მიმართ ეჭვი უჩნდებათ მისი კულტურული, ეთნიკური, ეროვნული, რელიგიური კუთვნილების ან კანის ფერის გამო. ასეთ დროს პოლიციელმა შეიძლება უმიზეზოდ, მხოლოდ გარეგნული მახასიათებლების გათვალისწინებით შეაჩეროს კონკრეტული ადამიანი, გაჩხრიკოს და ის დამნაშავეს მიამსგავსოს. რასობრივი გამორჩევა დაზარალებულის მიმართ გულგრილობის მიზეზიც შეიძლება გახდეს და მძიმე შედეგით დასრულდეს.

გარეგნობის საფუძველზე საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება უკანონო დისკრიმინაციასთანაა გათანაბრებული აშშ-ს და ევროპული სამართლის სისტემებში. რასობრივი ნიშნით გამორჩევის პრაქტიკის დადგენა მარტივია, როცა თანამდებობის პირები მათ თანამშრომლებს პირდაპირ უბრძანებენ, გარკვეული ეთნიკური ჯგუფები ცალკე გამოყონ. მაგალითად, ეს ხდება აეროპორტში ჩხრეკისას ან საიმიგრაციო გაჩერებების დროს, როდესაც მიზანი ვიზიტორის დეპორტაციაა. ასეთ შემთხვევებში შესაძლებელია გამორჩევა პირდაპირი ბრძანების საფუძველზეც ხდებოდეს. თუმცა, როდესაც პირდაპირი ბრძანება არ არსებობს, რთულდება რასისტული განზრახვის დადგენა.

რასობრივი გამორჩევა უმეტესად არაპირდაპირი დისკრიმინაციის შედეგია. როგორც წესი, აშკარად ნეიტრალური დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკაც კი კონკრეტულ ადამიანებს, სხვებთან შედარებით, არახელსაყრელ პირობებში აყენებს ეთნიკური წარმოშობის, წარმომავლობის, კანის ფერისა და სხვა ნიშნების საფუძველზე. ამრიგად, ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც რასობრივი გამორჩევა დასტურდება პოლიციელის ქცევაში, მიუხედავად იმისა, რა პირადი განზრახვა ჰქონდა მას, თავისთავად ამგვარი ქმედება უკანონო დისკრიმინაციად ითვლება,

თუ ის დაუსაბუთებელია. რასობრივი გამორჩევა არასამართლიანთან ერთად, არაეფექტიანი და კონტრპროდუქტიულიცაა. როდესაც სამართალდამცავი ორგანოები ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს ეპყრობიან როგორც საეჭვოს, მათ სამიზნეში ბევრი უდანაშაულო ადამიანი ხვდება და საბოლოოდ, შესაძლოა ნამდვილი კრიმინალი, რომელიც არ ჰგავს მათ მიერ სტერეოტიპულად წარმოდგენილ პიროვნებას, ყურადღების მიღმა დარჩეს.

კიდევ ერთი უარყოფითი შედეგი, რაც რასობრივ გამორჩევას მოჰყვება, პოლიციის მიმართ ნდობის შემცირებაა. ადამიანები, რომლებიც რასობრივი გამორჩევის მსხვერპლი ხდებიან, კარგავენ ნდობას სამართალდამცავების მიმართ, რაც საბოლოოდ, უარყოფითად მოქმედებს პოლიცია-საზოგადოების ურთიერთობებზე და ამცირებს სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის სურვილს.

საქართველოს საპოლიციო უწყებებში რასობრივი დისკრიმინაციისა და გამორჩევის წინააღმდეგ შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპები და პოლიტიკა არ არსებობს. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების პროფესიულ სასწავლო პროგრამებში კი ფაქტობრივად არ გვხვდება კულტურული მრავალფეროვნების საკითხები. პოლიციელები ზოგადად სწავლობენ ადამიანის უფლებებისა და დისკრიმინაციის თემებს, თუმცა ეს კურსები საკმარის ინფორმაციას არ მოიცავს რასიზმისა და რასობრივი გამორჩევის საკითხებზე სრულყოფილი წარმოდგენის შესაქმნელად.

TDI რამდენიმე წელია აქტიურად მუშაობს უცხოელთა უფლებების დაცვისა და რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიმართულებით. ამ დროის განმავლობაში გამოიკვეთა მრავალი სახის სისტემური პრობლემა, რაც იწვევს მიგრანტთა უფლებების დარღვევას და აყალიბებს დისკრიმინაციულ გარემოს, განსაკუთრებით აზიისა და აფრიკის ქვეყნების წარმომადგენელთა მიმართ. ამ პრობლემებს შორის გამორჩეულად აქტუალურია ბინადრობის ნებართვების გაცემის პროცესში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უარყოფითი როლი და სავარაუდოდ, ეროვნული/რასობრივი ნიშნით განპირობებული დისკრიმინაციული მოტივით ნებართვებზე უარის მაღალი მაჩვენებელი სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან შედარებით. აღნიშნული ქვეყნებიდან ჩამოსული მიგრანტები საუბრობენ როგორც რასისტულ და სტერეოტიპულ განწყობებზე საზოგადოების მხრიდან, ასევე სახელმწიფო და კერძო უწყებებში გამოვლენილ სტრუქტურულ რასიზმსა და პრობლემებზე. ხშირია სახელმწიფო საზღვრის კვეთისას უკანონო გაჩერება, დაყოვნება ან საზღვრის კვეთაზე უსაფუძვლო უარი. ასევე ხშირია რასობრივი დისკრიმინაციით მოტივირებული ფიზიკური და სიტყვიერი თავდასხმის, შეურაცხყოფის შემთხვევები. რამდენიმე რასობრივი დისკრიმინაციის გახმაურებულ საქმეში TDI მიგრანტთა ინტერესებს იცავდა.

TDI დაფუძნების დღიდან მუშაობს რელიგიის თავისუფლებისა და რელიგიური, ეთნიკური უმცირესობების საკითხებზეც. სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის, ინკლუზიური პოლიტიკის განხორციელებისა და კულტურული მრავალფეროვნების მართვის კუთხით უამრავი სისტემური პრობლემა არსებობს. დაბალია ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობა და ნდობა სამართალდამცავი უწყებებისა და ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების მიმართ.

აღნიშნულ საკითხებზე სისტემური მუშაობის პროცესში, მიგრანტებთან და ეთნიკურ უმცირესობებთან მრავალმხრივი კომუნიკაციისას, გამოიკვეთა იმის საჭიროება, რომ შეგვესწავლა რა-

სობრივი გამორჩევის პრაქტიკული შემთხვევები და სამომავლოდ განგვესაზღვრა მისი დაძლევის გზები და პრიორიტეტები.

წინამდებარე კვლევა პირველია, რომელიც მიზნად ისახავს შეისწავლოს საქართველოში რასობრივი გამორჩევის არსებული პრაქტიკა პოლიციელების, მიგრანტებისა და ეთნიკური უმცირესობების გამოცდილების საფუძველზე. ვიმედოვნებთ, რომ მოცემული კვლევა განსაკუთრებულ წვლილს შეიტანს რასობრივი გამორჩევის პრობლემაზე საჯარო დისკუსიის დაწყებაში, ხოლო სახელმწიფოს დაეხმარება შესაბამისი პოლიტიკის გატარებაში.

კვლევის ძირითადი მიგნებები

- საქართველოს სამართალდამცავი სისტემა არ იცნობს რასობრივი გამორჩევის ცნებას; შესაბამისად, არ არსებობს რასიზმთან და რასობრივ გამორჩევასთან ბრძოლის პოლიტიკა.
- მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელთა და გამომძიებელთა თვითშეფასებით, მათი არსებული ცოდნა და დამოკიდებულება რასობრივი დისკრიმინაციის და კულტურული მრავალფეროვნების საკითხებზე მაღალია, თვისებრივი კვლევა ცხადყოფს, რომ რეალურად ამ მიმართულებით მწვავე სისტემური პრობლემები არსებობს.
- კვლევის ფარგლებში გამოკითხული სამართალდამცველების ნაწილი განსხვავებული კულტურული, ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფების შესახებ სტერეოტიპული ენით საუბრობს. ხშირად მათი წინასწარი განწყობები გაუცნობიერებელია, რაც შესაბამისი ცოდნისა და კვალიფიკაციის ნაკლებობაზე მიუთითებს.
- სამართალდამცველების სასწავლო პროგრამები არ მოიცავს კულტურული მრავალფეროვნების მართვასა და რასობრივ გამორჩევასთან დაკავშირებულ თემატიკას. ადამიანის უფლებებისა და დისკრიმინაციის აკრძალვის საკითხებზე სასწავლო პროგრამები არათანმიმდევრული და არასრულყოფილია. ამასთან, სამართალდამცველების უმრავლესობა – როგორც პოლიციელები, ასევე გამომძიებლები – მიიჩნევენ, რომ საჭიროა დისკრიმინაციის აკრძალვისა და კულტურული მრავალფეროვნების შესახებ პოლიციელთა ცოდნის გაღრმავება.
- კვლევის ფარგლებში გამოკითხული ეთნიკური უმცირესობები და მიგრანტები საუბრობენ ზოგადად ხელისუფლებისა და საპოლიციო სისტემის მხრიდან მათ მიმართ სტერეოტიპულ, გულგრილ ან დისკრიმინაციულ დამოკიდებულებასა და პრაქტიკულ შემთხვევებზე. მათი თქმით, ხშირია უსამართლო მოპყრობის, მათ წინააღმდეგ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულებზე არაეფექტიანი რეაგირების შემთხვევები და გამოუძიებელი საქმეების მაღალი მაჩვენებელი.
- ისევე როგორც ეთნიკური უმცირესობები, ასევე საქართველოში მცხოვრები მიგრანტები აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან მიიჩნევენ, რომ ხშირია დისკრიმინაციული გამორჩევის შედეგად პოლიციის მიერ მათი უკანონოდ გაჩერება და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოთხოვნა.
- კვლევის ფარგლებში გამოკითხული ადვოკატები – როგორც კერძო, ისე არასამთავრობო და უფასო იურიდიული დახმარების სამსახურიდან – აღნიშნავენ, რომ ეთნიკური უმცირესობებისა და უცხო ქვეყნის ბრალდებული მოქალაქეების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებას სისტემატური ხასიათი აქვს.
- ენობრივ ბარიერებსა და თარგმანთან დაკავშირებულ პრობლემებზე საუბრობენ როგორც უმცირესობების წარმომადგენლები, ისე პოლიციელები და გამომძიებლები, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს სრულყოფილ კომუნიკაციას. სამართალდამცავი სტრუქტურის წარმო-

მადგენელთა შეფასებით ენობრივი ბარიერის არსებობა ასევე ნეგატიურ გავლენას ახდენს მიგრანტთა ნდობაზე სამართალდამცავი უწყების მიმართ.

- კვლევაში მონაწილე ყველა მხარე – როგორც ეთნიკური უმცირესობები და მიგრანტები, ისე სამართალდამცველები და ადვოკატები – ხაზს უსვამენ საქმეებში თარგმანთან და თარჯიმნების კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ადვოკატების თქმით, ხშირად დაკავების პროცესი და სხვა საგამოძიებო მოქმედებები, მაგალითად, ჩხრეკა, ამოღება და დათვალიერება, თარჯიმნის მონაწილეობის გარეშე ტარდება.
- აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან ჩამოსული მიგრანტების თქმით, მათ ბინადრობის ნებართვაზე სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის არგუმენტით ეუბნება უარს. კონკრეტული წარმომავლობის, ეთნიკური, ეროვნული კუთვნილების ადამიანების „საფრთხედ“, „საშიშად“ და „რისკის შემცველად“ წარმოჩენა სამართალდამცველი და უსაფრთხოების სამსახურების რასობრივი გამორჩევის პოლიტიკაზე შეიძლება მიანიშნებდეს.

კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს ეთნიკური უმცირესობების, მიგრანტების, სამართალდამცველების და ადვოკატების გამოცდილების საფუძველზე შეისწავლოს საქართველოში, განსაკუთრებით სამართალდამცავ სისტემაში, რასობრივი გამორჩევის პრაქტიკა. ამასთან, კვლევისას ვსწავლობდით რესპონდენტთა ზოგად განწყობებს და მათ გამოცდილებას, რომელიც უკავშირდება დისკრიმინაციას, სტერეოტიპებს და საზოგადოებაში არსებულ ნეგატიურ განწყობებს ეთნიკური უმცირესობებისა და მიგრანტების მიმართ.

კვლევის მიზნის მისაღწევად, გამოიკვეთა შემდეგი ამოცანები:

- რასობრივი დისკრიმინაციის და რასობრივი გამორჩევის დეფინიცია და გაგება
- რასობრივი გამორჩევა და მასთან დაკავშირებული ცრურწმენები
- საქართველოში დისკრიმინაციული გამორჩევის გამოცდილების შესწავლა
- სამართალდამცავი სისტემის მიმართ ეთნიკური უმცირესობებისა და მიგრანტების ნდობის შესწავლა
- განსხვავებული კულტურის შესახებ დამოკიდებულების და ინფორმირებულობის შესწავლა საპოლიციო სისტემაში.

კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე, შეირჩა შემდეგი სამიზნე ჯგუფები:

- საქართველოში მცხოვრები მიგრანტები აფრიკის ქვეყნებიდან (ნიგერია, სომალი)
- საქართველოში მცხოვრები მიგრანტები აზიის ქვეყნებიდან (ირანი, ბანგლადეში, ინდოეთი)
- ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელი მოქალაქეები
- სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ეთნიკური სომეხი მოქალაქეები
- პოლიციელები და გამომძიებლები თბილისიდან და რეგიონებიდან
- ადვოკატები არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, უფასო იურიდიული დახმარების სამსახურიდან და დამოუკიდებელი ადვოკატები.

კვლევისას გამოვიყენეთ მონაცემთა შეგროვების სამაგიდე და თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია. თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა 21 სიღრმისეული ინტერვიუ და 7 ფოკუსჯგუფი. რესპონდენტები შეირჩა მიზნობრივი შერჩევის მეთოდით – მათი ეთნიკური კუთვნილების მიხედვით; შერჩევის კრიტერიუმი არ ითვალისწინებდა რესპონდენტთა პირად დისკრიმინაციულ გამოცდილებას. ქვემოთ მოცემული ცხრილი ვიზუალურად წარმოადგენს კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუთა განაწილებას სამიზნე ჯგუფის მიხედვით:

ილუსტრაცია №1

COVID 19-ის პანდემიის გამო დაწესებული რეგულაციებიდან გამომდინარე, ინტერვიუები ჩატარდა ონლაინ, Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით. ინტერვიუს აუდიოჩანაწერის საფუძველზე მომზადებული ტრანსკრიპტები გაანალიზდა თემატური ანალიზის მეთოდის გამოყენებით.

დეტალური ინფორმაცია კვლევის დიზაინის, მეთოდოლოგიისა და მონაცემთა შეგროვების შესახებ, **იხილეთ დანართში**.

1. საერთაშორისო გამოცდილება

1.1 რასობრივი გამორჩევა – დეფინიცია

ტერმინი – „რასობრივი გამორჩევა“ (*racial profiling*) ამერიკულ ლექსიკონში 80-90-იანი წლებიდან ჩნდება. რასობრივ გამორჩევას უწოდებენ „პოლიციის დისკრიმინაციულ ქმედებებს, როდესაც პირის მიმართ საპოლიციო მოქმედებების განხორციელების საფუძველი მისი რასობრივი კუთვნილება, ეთნიკური წარმოშობა, რელიგიური შეხედულებები ან სახელმწიფოებრივი კუთვნილებაა“[1].

ევროპაში აღნიშნულ პრობლემას „ეთნიკური გამორჩევის“ (*ethnic profiling*) სახელით მოიხსენიებენ. ევროპის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო მიუთითებს, რომ პოლიციის მიერ ეთნიკური გამორჩევა პრობლემა ხდება მაშინ, როცა საპოლიციო მოქმედებებისას საფუძვლიანად არ იკვლევენ საკითხს და კონკრეტული ქცევის ნაცვლად ყურადღებას აქცევენ პირის ზოგად მახასიათებლებს[2]. აქვე უნდა მივუთითოთ, რომ მეორე ევროპული ინსტიტუცია – ევროპული კომისია – რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ იყენებს ტერმინს – „რასობრივი გამორჩევა“[3].

აშშ-ში რასობრივი გამორჩევის ფაქტების მიმართ თავდაპირველად სამოქალაქო უფლებების დამცველმა აქტივისტებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა გამოიჩინეს ყურადღება. მათთვის ნიშანდობლივი გახდა ის გარემოება, რომ პოლიციელები შავკანიანებს უფრო ხშირად აჩერებდნენ ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ვიდრე თეთრკანიანებს. ეს ტენდენცია თანაბრად მეორდებოდა ფეხით მოსიარულეების და მძღოლების მიმართ და აშკარად მიუთითებდა რასისტულ განზრახვაზე, ან ზოგადად, რასისტული გარემოს არსებობაზე. ამ ტენდენციის პასუხად დაიწყო არაერთი კამპანია და საზოგადოებრივი მოძრაობა.[4]

თანამედროვე კონტექსტში რასობრივი გამორჩევა შეიძლება უკვე ვუწოდოთ იმგვარ ზოგად წესებს, მითითებებს, გადაწყვეტილებებს, როცა პოლიციის მოქმედების საფუძველი მხოლოდ ეთნიკური წარმოშობა, გარეგნობა, რელიგიური კუთვნილება და სხვა მახასიათებელია და არა საფრთხის შემცველ მოქმედებასთან დაკავშირებული გარემოებები.[5] რასიზმის წინააღმდეგ ევროპული ქსელის დეფინიცია ყველაზე მარტივ ფორმულირებას გვთავაზობს და რასობრივ გა-

1 ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებების კავშირი (ACLU), 2017. ხელმისაწვდომია – https://www.aclu.org/other/racial-profiling-definition

2 ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო (FRA), 2010. ხელმისაწვდომია – https://fra.europa.eu/sites/default/files/fra_uploads/1133-Guide-ethnic-profiling_EN.pdf

3 ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI), 2007. ხელმისაწვდომია – https://www.coe.int/en/web/european-commission-against-racism-and-intolerance/recommendation-no.11

4 The Stopped – Ethnic Profiling in Finland, Keskinen et al, 2018. ხელისაწვდომია – http://www.profiling.fi/wp-content/uploads/2018/04/The-Stopped_ENGL.pdf

5 Open Society Justice Initiative (ENAR), 2009. ხელმისაწვდომია – https://www.justiceinitiative.org/uploads/a8c80f4b-b69d-4bd7-9e6f-380353eb4ef3/Factsheet-ethnic-profiling-20091001-ENG.pdf

მორჩევას უწოდებს – „პოლიციელის და გამომძიებლების ქმედებას, რომელიც ეყრდნობა ჩაცმულობის, გარეგნობის და რწმენის გამო გაჩენილ უსაფუძვლო ეჭვებს“[6].

1.2 რასობრივი გამორჩევის მაგალითები

რასობრივი გამორჩევის მაგალითები უამრავია საქართველოში, აშშ-სა და ევროპის სახელმწიფოებში. საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი გვეხმარება უკეთ დავინახოთ გამოწვევები, მოვნიშნოთ „რისკის ზონები“ და ეფექტიანად დავგეგმოთ რასობრივი გამორჩევის პრევენციის და კონკრეტულ ფაქტებზე რეაგირების ღონისძიებები.

პრობლემის უკეთ წარმოსაჩენად მოვიყვანთ რამდენიმე ტიპურ მაგალითს:

1. ტერორისტული საფრთხის გამოსავლენად პოლიციას ეძლევა უფლებამოსილება გააჩეროს და გაჩხრიკოს ნებისმიერი ადამიანი, რომელზეც ეჭვობს, რომ ტერორიზმის მონაწილეა. სავარაუდოდ, საფრთხე მოდის ტერორისტული ორგანიზაციისგან, რომელიც აქტიურია მსოფლიოს რომელიმე რეგიონში, თუმცა ამის შესახებ მეტი ინფორმაცია არ არსებობს. თუ პოლიციელი გააჩერებს ადამიანს მხოლოდ (ან ძირითადად) იმიტომ, რომ მისი გარეგნობა მიანიშნებს კონკრეტული რეგიონიდან წარმომავლობაზე, ეს იქნება პირდაპირი დისკრიმინაცია და უკანონო ფაქტი, ანუ რასობრივი გამორჩევის მაგალითი.
2. მორიგი რეიდის ჩატარებისას სამართალდამცავი ორგანოები გადაწყვეტენ, შეაჩერონ ყოველი მეათე მანქანა X ქალაქში, 21:00 საათიდან 01:00 საათამდე; X ქალაქის მოსახლეობის 60%, რომლებიც ამ კონკრეტულ საათებში მანქანით მოძრაობენ, კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნება, ხოლო ქალაქისა და მიმდებარე ტერიტორიების ამ ეთნიკური ჯგუფის მოსახლეობა 30%-ს არ აღემატება. სამართალდამცავების გადაწყვეტილება ერთ ჯგუფზე, სავარაუდოდ, უფრო უარყოფითად იმოქმედებს, ვიდრე სხვებზე.
3. პოლიციელი აჩერებს და ჩხრეკს „უცხოელის გარეგნობის“ მქონე ახალგაზრდა მამაკაცს ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, რადგან ეჭვობს, რომ მან ჩაიდინა დანაშაული. ის დისკრიმინირებულია არა მხოლოდ მისი ასაკის (რადგან ყველა ახალგაზრდას არ აჩერებენ), ან ეთნიკური წარმოშობის გამო (ყველა „უცხოელის გარეგნობის“ ადამიანს არ აჩერებენ), არამედ სწორედ იმიტომ, რომ ის არის „უცხოელის გარეგნობის“ მქონე ახალგაზრდა.

აქვე მოვიყვანთ შემთხვევას, რომელიც არ მიეკუთვნება რასობრივი გამორჩევის ფაქტს. ვფიქრობთ, ეს მაგალითი მკითხველს უფრო ნათელ წარმოდგენას შეუქმნის ამ პრობლემაზე:

> მოწმეების ინფორმაციით, ყაჩაღობაში ეჭვმიტანილს ეცვა წითელი ფერის სპორტული ფეხსაცმელი და ეხურა ლურჯი ქუდი, იყო, დაახლოებით, 165-170 სმ სიმაღლის 25-30 წლის მამაკაცი და სავარაუდოდ, აზიური წარმოშობის. ამ ვითარებაში სამართალდამცავი ორგანოები ლეგიტიმურად მიიჩნევენ რასობრივი ნიშნით გამორჩევას, რადგან ეს შემთხვევა კონკრეტულ ინფორმაციას უკავშირდება.

6 *იგივე.*

მაგალითები გვიჩვენებს, თუ რამდენად კომპლექსურია პრობლემა და რაოდენ რთულია მისი პრევენცია, მასთან ბრძოლა. ამიტომ, აუცილებელია უფრო კონკრეტულად შევისწავლოთ თითოეული საპოლიციო მოქმედება და მასთან დაკავშირებული რისკები. არსებობს საპოლიციო მოქმედებები, რომლებიც რასობრივი გამორჩევის რისკს შეიცავს. ასეთებია:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შემოწმება ქუჩაში
- რეიდები
- ფეხით მოსიარულეთა გაჩერება, გარეგანი დათვალიერება და ჩხრეკა ქუჩაში
- ავტომანქანების გაჩერება, დათვალიერება და ჩხრეკა
- გაჩერების დროს არაპროპორციული ძალის გამოყენება (ხელბორკილების დადება ან იარაღით დამუქრება)
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის ჩხრეკა
- ახალგაზრდების ჯგუფების დაშლა ქუჩაში
- გაჩერების შემდეგ ადმინისტრაციული დარღვევის გამო სასამართლოში გამოძახება ან დაპატიმრება
- პოლიციის არაპროპორციული ყურადღება კონკრეტულ რაიონზე ან გარკვეული ტიპის დანაშაულებზე.

რასობრივი გამორჩევის შემთხვევები ხშირია საემიგრაციო კონტროლის დროს, **პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმებისას** – როგორც საერთაშორისო საზღვრებზე, ასევე სახელმწიფოს ტერიტორიაზეც. ევროპის მოქალაქე ეთნიკურ უმცირესობათა დიდი ნაწილი განიცდის დისკრიმინაციულ მოპყრობას როგორც პოლიციის, ასევე იმიგრაციის/საბაჟო სამსახურების წარმომადგენელთა მხრიდან. ევროკავშირის წევრ უმეტეს სახელმწიფოებში რასობრივი გამორჩევის მიზეზი საემიგრაციო კანონის არასწორი აღსრულებაა. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში სამართალდამცავ ორგანოებს ყოველკვირეული არაოფიციალური კვოტა აქვთ „დაწესებული" არალეგალური ემიგრანტების დასაპატიმრებლად და გაცემულია მითითება, რომ პოტენციური ეჭვმიტანილების დასაკავებლად შეუძლიათ გასცდნენ თავიანთ სამუშაო რაიონებსაც.[7] ამრიგად, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმება შესაძლოა რასობრივ გამორჩევაზე დაფუძნებულ პროცედურადაც კი იქცეს.

რასობრივი გამორჩევის ფაქტები ხშირია **საპოლიციო რეიდების** დროსაც. რეიდები შეიძლება იყოს საპოლიციო ძალაუფლების განხორციელების ნაწილი და მნიშვნელოვანი სამართალდამცავი ტაქტიკა. რეიდების ლეგიტიმური მიზნებია: ძებნილი დამნაშავის დაკავება, უკანონო საქმიანობის მტკიცებულების მოპოვება, დანაშაულის ჩადენის აღკვეთა და/ან კონტრაბანდის კონფისკაცია. მიუხედავად ამისა, რეიდები შეიძლება გადაიზარდოს დაუშვებელი რასობრივი გამორჩევის კატეგორიაში, როდესაც პოლიცია განსაზღვრავს მიზნებს, რომლებიც ემყარება ეთნიკურ ან რელიგიურ ჯგუფებთან დაკავშირებულ სტერეოტიპებს, თითქოს ისინი დანაშაულის ჩადენისკენ არიან მიდრეკილები. ზოგჯერ პოლიცია ამოიჩემებს მთელ თემს ან სამეზობლოს

7 European Union Agency for Fundamental Rights (FRA) (2021), Your rights matter: Police stops, Fundamental Rights Survey, Luxembourg, Publications Office. ხელმისაწვდომია – https://fra.europa.eu/sites/default/files/fra_uploads/fra-2021-fundamental-rights-survey-police-stops_en.pdf

მხოლოდ იმიტომ, რომ იმ სამეზობლოში რამდენიმე ადამიანი დანაშაულებრივ საქმიანობას ეწევა. როგორც ჩანს, პოლიციის ზოგიერთი რეიდი პრაქტიკულად სცდება ლეგიტიმურ მიზნებს და უმცირესობათა თემების უკანონო შევიწროებას ემსახურება.[8]

„მონაცემთა მოპოვება“ – ეს კიდევ ერთი მეთოდია, რომელიც ხშირად – მაგრამ არა ყოველთვის – ეფუძნება გამორჩევის პრინციპს. როგორც წესი, მონაცემთა მოპოვება გულისხმობს დიდ მონაცემთა ბაზებში პერსონალური ინფორმაციის ავტომატიზებულ ძებნას, როგორიცაა: საიმიგრაციო ბაზა, სტუდენტური ჩანაწერები, ჯანმრთელობისა და საცხოვრებელი ადგილის ცნობები და სხვ., წინასწარ განსაზღვრული მახასიათებლების გამოყენებით. მონაცემთა მოპოვების ზოგიერთი პროგრამა არ იყენებს გამორჩევის ფუნქციას, არამედ ეძებს კავშირს ეჭვმიტანილსა და სხვა პირებს შორის, რომელთანაც ეჭვმიტანილს კონტაქტი ჰქონდა სატელეფონო საუბრისას ან ინტერნეტში მიმოწერით. ასეთი წესით მონაცემების დამუშავებას სულ უფრო მეტად იყენებენ. მეთოდის საფუძველი „რადიკალიზაციის“ თეორიებია, რომელიც ჰოლანდიაში, გაერთიანებულ სამეფოსა და სხვა ქვეყნებში ე.წ. შინაური ტერორისტების ფენომენის საპასუხოდ გაჩნდა. მოცემული თეორიების თანახმად, გარკვეულ ეთნიკურ ჯგუფს ან რელიგიურ მიმდინარეობას შეესაძლოა რადიკალიზაციის მეტი პოტენციალი ჰქონდეს. შესაბამისად, პოლიცია და სადაზვერვო სამსახურები სამიზნედ იღებენ ამ ჯგუფების წარმომადგენლებს, მაშინაც კი, როცა არ არსებობს მტკიცებულებები, რომ კონკრეტული პირი მონაწილეობს ტერორისტული ჯგუფის საქმიანობაში.

გარდა ამისა, რასობრივი გამორჩევის შემთხვევები გვხვდება კონკრეტული დანაშაულების გამოძიების და მათი პრევენციის ღონისძიებების გატარებისას, საიმიგრაციო პოლიტიკის აღსრულებისას და ასევე სასაზღვრო უწყებების საქმიანობაშიც.

1. რასობრივი გამორჩევა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისას:

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისას სამართალდამცავი სამსახურები სხვადასხვა მეთოდებს მიმართავენ, ასეთებია:

- მასობრივი გაჩერება და ჩხრეკა
- პირადობის შემოწმება სალოცავების გარეთ (მაგ., მეჩეთები)
- სამუშაო ადგილებში მოწყობილი რეიდები
- თვალთვალი
- ეთნიკური ან რელიგიური კრიტერიუმების საფუძველზე მონაცემთა მოპოვება
- „საეჭვო პირების“ იდენტიფიცირება და მონაცემების შეგროვება
- დაპატიმრება ან დროებით დაკავება
- დეპორტაცია.

აღნიშნული მოქმედებები რასობრივი გამორჩევის მაღალი რისკის მატარებელია და აუცილებელია კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება, რათა დაცული იყოს მთავარი მიზანიც და კანონის უზენაესობაც.

8 ეუთო, „ადამიანის უფლებათა ჰელსინკის საერთაშორისო ფედერაციის (IHF) განცხადებები“ (ვარშავა, 2002 წლის 9-19 სექტემბერი) ხელმისაწვდომია – https://www.osce.org/files/f/documents/3/f/20052.pdf?fbclid=IwAR1Zrax1wh_UG0Q-bCgZTfKHUUwESBRhN89PA1jZocGaFAnNu1oWfX6UKpY

2. რასობრივი გამორჩევა საიმიგრაციო კონტროლისა და თავშესაფრის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას:

რასობრივი გამორჩევის შემთხვევები გვხვდება საიმიგრაციო კონტროლისა და თავშესაფრის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს. გამორჩევის შემთხვევები ჭარბობს ისეთი მოქმედებების განხორციელებისას, როგორიცაა:

- ადამიანების დაკითხვა, ჩხრეკა და დროებითი დაკავება აეროპორტსა და პორტებში
- წინასწარი სკრინინგი და რეისებიდან მოხსნა
- იმიგრაციის განცხადებების შესწავლა
- თავშესაფრის განცხადებების შესწავლა
- გადაწყვეტილების მიღება იმიგრაციასა და თავშესაფრის განცხადებებთან დაკავშირებით
- ქუჩაში გაჩერება, რაც მიზნად ისახავს ადამიანის დეპორტაციას.

აუცილებელია აღნიშნული საქმიანობის რეგლამენტაცია, ნათელი კრიტერიუმების ჩამოყალიბება, რაც უფლებამოსილ პირებს მოქმედების მკაფიო მიზანს და მეთოდს განუსაზღვრავს.

3. რასობრივი გამორჩევა საბაჟოზე :

რასობრივი გამორჩევის საფრთხე მაღალია:

- სასაზღვრო პუნქტებზე გაჩერების, ხალხისა და ბარგის ჩხრეკის დროს
- ავტომანქანების გაჩერებისა და ჩხრეკისას
- ტვირთებისთვის დოკუმენტაციის გაცემისას, როცა უმიზეზოდ ჭიანურდება რეგისტრაცია, რაც ტვირთის დაზიანებას იწვევს და ა.შ.

ამგვარი მოქმედებები განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა იგეგმებოდეს. გადაწყვეტილებების მიმღებებს კარგად უნდა ესმოდეთ ის პასუხისმგებლობა, რომელიც მათ დაეკისრებათ მათდამი დაქვემდებარებული თანამშრომლების ჩადენილი გადაცდომების გამო.

1.3 რასობრივი გამორჩევა – ფუნდამენტური უფლებების დარღვევის საფუძველი

რასობრივი გამორჩევა მხოლოდ დისციპლინური წარმოების საფუძველი როდია კონკრეტული მოხელის მიმართ, არამედ ფუნდამენტური უფლებების დაცვასაც უქმნის საფრთხეს და სახელმწიფოს შესაბამისი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს. იმისათვის, რომ მოქმედება კანონიერი იყოს, იგი უნდა ემყარებოდეს ობიექტურ და გონივრულ დასაბუთებას. მოქმედება ჩაითვლება უკანონოდ, თუ ის ზედმეტად ერევა პიროვნებების პირად ცხოვრებაში ან/და არ შეესაბამება პერსონალური მონაცემების დამუშავების მარეგულირებელ წესებს.

ევროკავშირის კანონმდებლობის თანახმად, პირადი ცხოვრების პატივისცემა (ფუნდამენტური უფლებების ქარტიის მე-7 მუხლი) და პერსონალური მონაცემების დაცვა (ქარტიის მე-8 მუხლი) განსხვავებული უფლებებია, მიუხედავად იმისა, რომ მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პირადი ცხოვრების (ან ხელშეუხებლობის) უფლება უფრო ფართო ცნებაა, რომელიც კრძალავს პიროვნების პირად ცხოვრებაში ჩარევას. პირადი ცხოვრება არ მოიაზრება,

როგორც სიკეთე, რომლის საიდუმლოდ შენარჩუნებაც სურს ადამიანს, არამედ როგორც საშუალება, რომლითაც ის საკუთარ პიროვნებას გამოხატავს, მაგალითად, როდესაც თავად ირჩევს ვისთან იურთიერთოს და როგორ ჩაიცვას.

ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე-9 მუხლში მკაფიოდაა აღნიშნული, რომ აკრძალულია პერსონალური ინფორმაციის ისეთი დეტალების დამუშავება, რომელიც ავლენს პიროვნულ მახასიათებლებს, როგორიცაა: რასობრივი თუ ეთნიკური წარმოშობა, პოლიტიკური შეხედულება, რელიგიური თუ ფილოსოფიური მრწამსი. ეს აკრძალვა შესაძლოა გაუქმდეს კონკრეტულ შემთხვევებში, როგორიცაა საზოგადოებრივი ინტერესის დაცვა, იმ პირობით, თუკი აკრძალვის გაუქმებას აქვს სამართლებრივი საფუძველი, არის პროპორციული და აუცილებელი. მაგალითად, დანაშაულის გამოძიების დროს ინფორმაციის დამუშავებისას ან სასაზღვრო შემოწმების კონტექსტში შეიძლება გამოვლინდეს რასობრივი გამორჩევის შემთხვევა. თუმცა, საამისოდ აუცილებელია არსებობდეს საფუძვლიანი ეჭვი სანდო ინფორმაციაზე დაყრდნობით. მაგალითად, ფეხით მოსიარულეს გაჩერების მიზეზი შეიძლება იყოს რამდენიმე პირობის ერთობლიობა, როგორიცაა: რასა და ეთნიკური ნიშანი, ჩაცმულობა (მაგ., კაპიუშონიანი პერანგი, ფართო შარვალი), დღის მონაკვეთი ან/და ადგილმდებარეობა (მაგ., თუ კონკრეტული ადგილი მიეკუთვნება დანაშაულის რისკის ზონას). უკანონო რასობრივი გამორჩევის ფაქტი ხდება მაშინ, როდესაც პოლიციელი გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ პიროვნების რასისა თუ ეთნიკური წარმომავლობის საფუძველზე.

არაერთი ამგვარი შემთხვევა გახმაურდა და მოექცა საერთაშორისო სასამართლოებისა და გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტის ყურადღების ცენტრში. აქ რამდენიმე საქმეს, ასევე საინტერესო კვლევის შედეგებს ჩამოვთვლით, რაც პრობლემის აქტუალობას უკეთ დაანახვებს დაინტერესებულ მკითხველს:

1. **როზალინდ უილიამს ლეკრაფტი ესპანეთის წინააღმდეგ**[9] – პოლიციელმა რკინიგზის სადგურის ბაქანზე გააჩერა ქალი და პირადობის დამადასტურებელი საბუთების წარდგენა სთხოვა. ქალმა პოლიციელს ჰკითხა, რატომ იყო ის ერთადერთი ადამიანი, რომელიც ბაქანზე გააჩერეს და ასეთი პასუხი მიიღო: „რადგან თქვენ შავკანიანი ხართ“. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის გადაწყვეტილებაში ნათქვამია – მიუხედავად იმისა, რომ პირადობის შემოწმება დასაშვებია საზოგადოებრივი უსაფრთხოების დასაცავად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად და არალეგალური იმიგრაციის კონტროლისათვის, „სამიზნე პირთა ფიზიკური ან ეთნიკური მახასიათებლები არ უნდა ჩაითვალოს ქვეყანაში მათი შესაძლო უკანონოდ ყოფნის მანიშნებლად. ასევე, პირადობის დამადასტურებელი საბუთები არ უნდა შემოწმდეს ისე, რომ მხოლოდ გარკვეული ფიზიკური მახასიათებლების ან ეთნიკური წარმოშობის მქონე ადამიანები გახდნენ სამიზნე. ეს არა მხოლოდ უარყოფითად აისახება დაზარალებულთა ღირსებაზე, არამედ ხელს შეუწყობს ქსენოფობიური დამოკიდებულების გავრცელებას მოსახლეობაში; ეს ასევე არ შეესაბამება რასობრივ დისკრიმინაციასთან ბრძოლის ეფექტიან პოლიტიკას“.

2. **ტიმიშევი რუსეთის წინააღმდეგ**[10] – განმცხადებელი ჩეჩნური წარმოშობის რუსეთის მოქალაქეა, რომელიც დაიბადა ჩეჩნეთის რესპუბლიკაში. 1999 წელს ის მანქანით მიემგზავრებოდა

9 გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტი, CCPR/C/96/D/1493/2006. ხელმისაწვდომია – https://undocs.org/CCPR/C/96/D/1493/2006

10 TIMISHEV v. RUSSIA, Applications nos. 55762/00 and 55974/00, ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო, 2005

ნაზრანიდან ნალჩიკში (რუსეთი, ინგუშეთის რესპუბლიკა). ყაბარდო-ბალყარეთის საგზაო უსაფრთხოების სახელმწიფო ინსპექციის თანამშრომლებმა უარი უთხრეს ტერიტორიაზე შეშვებაზე, რაც გულისხმობდა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ზეპირ ინსტრუქციას, რომ არ მიეღოთ ეთნიკურად ჩეჩნური წარმოშობის პირები. ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა განმცხადებლის მიმოსვლის თავისუფლება (მე-4 დამატებითი ოქმი, მე-2 მუხლი), კონვენციის მე-14 მუხლთან ერთად (დისკრიმინაციის აკრძალვა). სასამართლომ განმარტა, რომ ტიმიშევის არშეშვება ტერიტორიაზე მისი ეთნიკური იდენტობის გამო რასობრივი დისკრიმინაციაა.

3. **ლინგურარი რუმინეთის წინააღმდეგ**[11] – სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევა მე-3 მუხლთან (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) ერთად 2011 წელს რუმინეთში ბოშების ოჯახში პოლიციის მიერ განხორციელებულ დარბევასა და ძალადობაზე. ამ გადაწყვეტილებაში, რომელშიც საქმე ეხებოდა ე.წ. ინსტიტუციურ რასიზმს ბოშების წინააღმდეგ, ევროპულმა სასამართლომ პოლიციის ქმედებებთან დაკავშირებით პირველად გამოიყენა ტერმინი „ეთნიკური გამორჩევა“. სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიციის ძალადობრივი ქმედებები განპირობებული იყო ოჯახის ეთნიკური კუთვნილებით და ბოშების მიმართ უარყოფითი სტერეოტიპული შეხედულებებით.

4. **ბ.ს. ესპანეთის წინააღმდეგ**[12] – ნიგერიული წარმოშობის სექსმუშაკი ქალი, რომელიც ლეგალურად ცხოვრობდა ესპანეთში, ამტკიცებს, რომ ესპანეთის პოლიციამ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მას რასის, სქესისა და პროფესიის საფუძველზე. მისი განცხადებით, ევროპული წარმოშობის სხვა სექსმუშაკებისგან განსხვავებით, მას მუდმივად აჩერებდა პოლიცია და იყო რასისტული და სექსისტური შეურაცხყოფის მსხვერპლი. ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-3 მუხლის დარღვევა (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა), მაგრამ შემდგომში ცალკე შეისწავლა სავარაუდო რასისტულ დამოკიდებულებასა და პოლიციის ძალადობრივ ქმედებებს შორის შესაძლო მიზეზობრივი კავშირის გარემოებები. ამ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-14 მუხლის დარღვევა (დისკრიმინაციის აკრძალვა), რადგან ადგილობრივმა სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს განმცხადებლის განსაკუთრებული დაუცველი მდგომარეობა – როგორც აფრიკელი ქალისა და როგორც სექსმუშაკისა.

5. 2016 წელს **საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ** პირველად მიიღო გადაწყვეტილება პირადობის შემოწმებისას დისკრიმინაციული დამოკიდებულების საკითხის შესახებ.[13] სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიციამ დისკრიმინაციული განზრახვით შეამოწმა აფრიკული ან არაბული წარმოშობის 13 პირიდან 3-ის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები. სასამართლოს დადგენილების მიხედვით, აღნიშნულ შემთხვევებში სახელმწიფო პასუხისმგებელი იყო და მას კომპენსაციის გადახდა დააკისრა სამი მომჩივანისთვის. სასამართლომ ასევე განმარტა ასეთ შემთხვევებში მტკიცების ტვირთი: მოსარჩელეებმა სასამართლოს უნდა წარუდგინონ მტკიცებულებები დისკრიმინაციის ფაქტების არსებობის დასამტკიცებლად. პოლიციამ კი უნდა დაამტკიცოს განსხვავებული მოპყრობის არარსებობა პირადობის შემოწმებისას, ან ის, რომ

11 Lingurar v. Romania, Application No. 48474/14, ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო, 2019

12 B.S. v. SPAIN, Application no. 47159/08, ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო, 2012

13 Cour de Cassation, Décision 1245, 2016

განსხვავებული მოპყრობა გამართლებულია ობიექტური ვითარებით. უფრო მეტიც, სასამართლომ დაადგინა, რომ მოსამართლეებს შეუძლიათ მტკიცებულებებად გაითვალისწინონ კვლევები და სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს დისკრიმინაციული ნიშნით პირადობის შემოწმების ფაქტების სიხშირეს მოსარჩელის პოპულაციის ჯგუფის მიმართ. სასამართლომ მიიჩნია, რომ პირადობის შემოწმება ფიზიკურ მახასიათებლებზე დაყრდნობით, ფაქტობრივი ან სავარაუდო ეთნიკური წარმოშობის გათვალისწინებით, წინასწარი ობიექტური დასაბუთების გარეშე, დისკრიმინაციულია და წარმოადგენს სერიოზულ გადაცდომას, რაც ამ სამ შემთხვევაში გულისხმობს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას.

6. **კვლევა: ეთნიკური გამორჩევა ფინეთში**[14] – 2015-2017 წლებში ჰელსინკის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლამ 185 ადამიანი გამოჰკითხა რასობრივი გამორჩევის გამოცდილების შესახებ. კვლევამ მიუთითა, რომ რესპონდენტთა უმეტესობამ პოლიციის მიერ საჯარო სივრცეში მათი გაჩერება შეაფასა არასასიამოვნოდ, შემაშფოთებლად ან დამამცირებელად. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მაგალითი რესპონდენტების მონათხრობიდან:

> „ცოტა მოგვიანებით სხვა პოლიციელმა შემაჩერა კვლავ [...], როცა ქუჩაში ორ თეთრკანიან მეგობართან ერთად ვსეირნობდი: ერთი ფინელია, მეორე კი ჰოლანდიელი. გავბრაზდი, რადგან არ ვიცოდი, რატომ გამომარჩიეს მხოლოდ მე. ვიკითხე და მიპასუხეს, რომ თავიანთ საქმეს აკეთებდნენ“ (მდედრ. 30-40 წლის, აფრიკული ქვეყანა).
>
> „ერთხელ დედაჩემი და ჩემი ძმა ქუჩაში სეირნობდნენ, ისინი ორმა პოლიციელმა გააჩერა; უთხრეს, „გვაჩვენეთ თქვენი პასპორტები“. ჩემმა ძმამ თქვა ფინურად, „არ გვაქვს პასპორტები, ყოველთვის თან არ დაგვაქვს“. როდესაც პოლიციელებმა გაიგეს, რომ ჩემი ძმა ფინურად სრულყოფილად საუბრობდა, ქცევა შეცვალეს. გავბრაზდი, რადგან ვიცი, რომ ეთნიკური გამორჩევა უკანონოა და დედაჩემმა და ჩემმა ძმამ ეს არ იცოდნენ“. (მდედრ. 20-30 წლის, სომალი-ფინეთი).
>
> „მათ ყოველთვის ერთნაირი აღწერილობა აქვთ. დავფიქრდი – თუ 11 წლის განმავლობაში ერთსა და იმავე ადამიანს ეძებენ, რომელმაც მოახერხა ხელიდან დასხლტომოდათ, მაშინ ისინი თავიანთ საქმეს კარგად არ აკეთებენ, რადგან მონაცემები, რომელიც მათ [მესაზღვრეებს] აქვთ, ყოველთვის ერთნაირია და ყოველთვის ჩემსას ემთხვევა [იცინის]“. (მამრ. 30-40 წლის, აფრიკული ქვეყანა-ფინეთი).

7. **სასაზღვრო შემოწმება**[15] – ევროპის კავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტოს (FRA) კვლევის ფარგლებში გამოჰკითხეს ადამიანები, რომლებსაც ჰქონდათ სასაზღვრო შემოწმებისას რასობრივი გამორჩევის გამოცდილება:

> „მე მესმის, რატომ შემაჩერა მან [მესაზღვრემ], მაგრამ მას შეეძლო აქ არ გამოვეგზავნე [მეორე ხაზის შემოწმება/პოლიციის განყოფილება], ან არ მომქცეოდა როგორც კრიმინალს. ისინი ასე ექცევიან ყველა აღმოსავლეთ ევროპელს“ (მგზავრი სერბეთიდან, მამრ. ინტერვიუ ფრანკფურტის აეროპორტში).
>
> კითხვა: „როგორ ფიქრობთ, როგორ მოგექცნენ პირველი რიგის შემოწმებისას?“
> პასუხი: „ვფიქრობ, კარგად არა, უფრო დამამცირებლად. მესაზღვრე ცუდად მო-

14 Keskinen, S. et al (2018), The Stopped – Ethnic Profiling in Finland

15 ევროპის კავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტო (FRA), 2014. ხელმისაწვდომია – https://fra.europa.eu/en/publication/2014/fundamental-rights-land-borders-findings-selected-european-union-border-crossing

> მეპყრო. მან უბრალოდ აიღო ჩემი პასპორტი, შემომხედა და დაუძახა საიმიგრაციო სამსახურს. მან დასვა რაღაც კითხვები და აუწია ხმას, მაგრამ ვერაფერი გავიგე. გამიყვანეს რიგიდან, მექცეოდნენ უპატივცემულოდ, შემეშინდა". კითხვა: „რატომ იგრძენით თავი შეშინებულად ან დამცირებულად?" პასუხი: „რადგან არ ვიცოდი, რა მოხდებოდა და ისინი ვერაფერს მიხსნიდნენ. გარშემო ბევრი ხალხი იყო და მესაზღვრე ესაუბრებოდა სხვა მესაზღვრეებს, მე კი არაფერს მეუბნებოდნენ. შემდეგ ლოდინი მომიწია და კვლავ არ ვიცოდი, რატომ ვიყავი იქ". (მგზავრი ანგოლიდან, მამრ. ინტერვიუ ამსტერდამის შიფოლის აეროპორტში).
>
> „მე ნამდვილად მესმის მესაზღვრეების. მათთვისაც რთულია ჯიხურებში მუშაობა საათების განმავლობაში! ასე რომ, ისინი დროდადრო გამოხატავენ უარყოფით დამოკიდებულებას, მაგალითად, გვიყვირიან ჩვენნაირ ადამიანებს". (მამრ. თურქი, სატვირთო მანქანის მძღოლი, ხშირად კვეთს საზღვარს).

აღნიშნული მაგალითები დაგვეხმარება უკეთ გავიაზროთ საქართველოში მოქმედი წესრიგი, კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი გამოცდილება და მაქსიმალურად დავაახლოვოთ საპოლიციო და სხვა რელევანტური ინსტიტუციების საქმიანობა ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან. კვლევის შემდგომ ნაწილში გაეცნობით სხვადასხვა ჩართული პირების პოზიციებსა და გამოცდილებას რასობრივი გამორჩევის მიმართულებით საქართველოში. კვლევამ შესაძლებლობა მოგვცა გამოგვეკითხა უმცირესობების წარმომადგენლები, სამართალდამცავი ინსტიტუციების თანამშრომლები და დამოუკიდებელი იურისტები. მათი დაკვირვება, ცოდნა და გამოცდილება მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის სამომავლოდ სრულყოფილი პოლიტიკის დაგეგმვისთვის.

1.4 პოლიტიკა რასობრივი გამორჩევის წინააღმდეგ – საერთაშორისო გამოცდილება

რასობრივი გამორჩევის წინააღმდეგ შემუშავებული პოლიტიკა რამდენიმე მნიშვნელოვანი კომპონენტისგან შედგება ისეთ სახელმწიფოებში, როგორიცაა აშშ, კანადა და ევროკავშირის სახელმწიფოები. ეს მიდგომები შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც:

1. პრობლემის აღიარება
2. აქტიური კომუნიკაცია საზოგადოებასთან
3. ნორმატიული ბაზის შექმნა
4. მონაცემების შეგროვება
5. მონიტორინგი და ანგარიშვალდებულება
6. ინსტიტუციური რეფორმები
7. გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა.

აღნიშნული ჩამონათვალი ერთგვარ სამოქმედო სივრცეს ქმნის და გადაწყვეტილების მიმღებ სამსახურებს ძირითად პრინციპებს განუსაზღვრავს. აუცილებელია გვესმოდეს, რომ პრობლემა გრძელვადიან სტრატეგიას საჭიროებს. გარკვეული პრობლემების დაუყოვნებლივ მოგვარება

შესაძლებელია და აუცილებელიც, თუმცა დროდადრო ჩნდება ახალი გამოწვევები, რომლებზე რეაგირება ახალი სამოქმედო ინსტრუმენტების შექმნას საჭიროებს.

ნებისმიერი პრობლემის მოგვარება მისი გაცნობიერებით, აღიარებით იწყება. აღიარება უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური განაცხადია, რომელზეც უნდა დაშენდეს პოლიტიკა. აღიარების გარეშე შეუძლებელია სრულფასოვანი მონაწილეობა პრობლემის გადაწყვეტაში, ადეკვატური ინსტრუმენტების შემუშავებაში. სწორედ ეს მიდგომა უნდა იყოს ამოსავალი რასობრივ გამორჩევასთან საბრძოლველად.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ნათელი რეგულაციების შექმნა, რაც მკაფიოდ აუხსნის სამართალდამცავი სამსახურების თანამშრომლებს მათ როლს, ფუნქციებს, რეაგირების სწორ გზებს. წესები სამართლიანობის განცდას უნდა უჩენდეს ყველა იმ პირს, ვის მიმართაც დადგენილ პროცედურას გამოიყენებს პოლიციელი, მებაჟე ან მესაზღვრე. მხოლოდ ასეთი ნორმატიული გარემო შექმნის რასობრივი გამორჩევის პრობლემის აღმოფხვრისთვის წინაპირობას.

პოლიტიკის შექმნა აუცილებლად უნდა დაეფუძნოს კონკრეტულ მონაცემებს, რომელიც მუდმივად განახლდება. მხოლოდ რეალურ მონაცემებზე დაფუძნებული პოლიტიკა გამოიღებს სასურველ შედეგს. ჩვენ ამ მიმართულებით შევისწავლეთ რამდენიმე სახელმწიფოს გამოცდილება. მათი უმრავლესობა მუდმივად ატარებს კვლევებს რასობრივი გამორჩევის შესახებ, აგროვებს და აანალიზებს ინფორმაციას.

კომპლექსური პოლიტიკა, რომელიც ინსტიტუციურ ცვლილებებთან ერთად სრულყოფილი მონიტორინგის და ანგარიშვალდებულების მექანიზმებსაც შეიცავს, პრობლემის გადაჭრის წინაპირობაა. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს პოლიტიკურ განაცხადს, რომელიც აღიარებს რასობრივი გამორჩევის პრობლემის არსებობას და ამის შემდეგ შექმნას ინსტიტუციური და ნორმატიული გარანტიები, ასევე მექანიზმები პრობლემის გადასაჭრელად.

2. რასობრივი გამორჩევა საქართველოში – თვისებრივი კვლევის შედეგები

2.1 რასობრივი დისკრიმინაციის და რასობრივი გამორჩევის განსაზღვრება

2.1.1 რა არის რასობრივი დისკრიმინაცია

თვისებრივი კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხულ მიგრანტ და ეთნიკურ უმცირესობათა რესპონდენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას საკმაოდ უადვილდება რასობრივ დისკრიმინაციაზე საუბარი. უფრო მეტიც, უმრავლესობა მარტივად განსაზღვრავს რასობრივ დისკრიმინაციას. წინამდებარე ილუსტრაციები ვიზუალურად წარმოაჩენს ყველაზე ხშირად გამოყენებულ სიტყვებს, რომლებსაც ასახელებენ რასობრივ დისკრიმინაციაზე საუბრისას როგორც უცხოელი, ისე საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი რესპონდენტები. დისკრიმინაციის განსაზღვრებისას გამოკითხული მიგრანტები ხშირად ახსენებენ სიტყვებს: „შავი/შავკანიანი“, „უსაფრთხოება“, „საფრთხე“, „უფლებები“. ეთნიკური აზერბაიჯანელი და სომეხი რესპონდენტები კი – „უსამართლობას“, „უნდობლობას“, „სტერეოტიპებს“.[16]

ილუსტრაცია №2 – მიგრანტების მიერ დასახელებული სიტყვები რასობრივ დისკრიმინაციაზე საუბრისას

16 მოცემული ილუსტრაციები ეფუძნება კვლევის ფარგლებში განხორციელებული ტრანსკრიპტების ანალიზს. ვინაიდან ინტერვიუთა ნაწილი ჩატარებულია ინგლისურ, ნაწილი კი ქართულ ენაზე, შესაბამისად, ყველაზე ხშირად გამოყენებული სიტყვების რუკაც წარმოდგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე, რადგან ყველაზე ხშირად გამოყენებული სიტყვების რუკას კვლევითი პროგრამა ავტომატურად აგენერირებს მომზადებული ტრანსკრიპტების საფუძველზე.

ილუსტრაცია №3 – ეთნიკური უმცირესობების მიერ დასახელებული სიტყვები რასობრივ დისკრიმინაციაზე საუბრისას

ამასთან, გამოკითხულ რესპონდენტებს დისკრიმინაციად მიაჩნიათ ისეთი შემთხვევები, როდესაც „კანონი ითხოვს თანასწორობას, თანასწორ მოპყრობას“, თუმცა მიუხედავად ამისა, „ადამიანებს აყენებენ არათანასწორ მდგომარეობაში“. ნიშანდობლივია, რომ დისკრიმინაციაზე საუბრისას რესპონდენტები ძირითადად საუბრობენ პოლიციელთა „განსხვავებულ“ მიდგომაზე ან დამოკიდებულებაზე, რაც მათთვის ქმნის „განსხვავებულ პირობებს“.

> *„როდესაც კანონი ითხოვს თანასწორობას და ამ კანონის ფარგლებში ადამიანებს აყენებ არათანასწორ მდგომარეობაში და კანონის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ ექცევი მას, ეს არის დისკრიმინაცია“, (ეთნიკური აზერბაიჯანელი რესპონდენტი, ქვემო ქართლი)*

საინტერესოა, რომ გამოკითხულ ეთნიკურ უმცირესობათაგან განსხვავებით, მიგრანტ რესპონდენტთა მიერ დისკრიმინაციის განმარტება ძირითადად უკავშირდება ჩაგვრას რასისა და წარმომავლობის მიხედვით. მათი აზრით, ეს არის ადამიანთა გამორჩევა რასის ან წარმომავლობის ნიშნით, რაც იწვევს „უსაფრთხოების“ დაკარგვის განცდას.

> *„დისკრიმინაცია ჩემთვის არის ის, როდესაც თავს **არ ვგრძნობ დაცულად.** არა მხოლოდ ზოგადად რამდენად უსაფრთხოდ ვარ. როდესაც **დისკომფორტს განვიცდი** ქუჩაში სიარულის დროსაც კი“. (ირანი)*[17]

გამოკითხულთა ნაწილი დისკრიმინაციის განმარტებისას ყურადღებას ამახვილებს უთანასწორობაზე, რაც ადამიანებს შორის ქმნის „ბარიერს“ და „ართულებს კომუნიკაციას“.

17 ციტატის ორიგინალი ინგლისურენოვანი ინტერვიუს ტრანსკრიპტიდან: "*Discrimination for me is when you feel unsafe, it is not about security, when you are uncomfortable even when you are walking on the street". (Iran)*

*"დისკრიმინაცია შეიძლება იყოს ადამიანების დაყოფა, აროგანტულობა, ასევე **საზღვრების დაწესება და სტერეოტიპების შექმნა**. ეს არის ჩემთვის დისკრიმინაცია". (სომალი)*[18]

რესპონდენტთა მცირე ნაწილი ასევე დისკრიმინაციის განსაზღვრებისას აზუსტებს, რომ ეს არის ის, რაც მათ „რაღაცების გაკეთების უფლებას არ აძლევს".

„როდესაც ჩემი წარმომავლობის და კუთვნილების გამო რაღაცების გაკეთების უფლება არ მაქვს და შეზღუდული ვარ". (ეთნიკური აზერბაიჯანელი რესპონდენტი, ქვემო ქართლი)

ზოგადად, თვისებრივი კვლევა აჩვენებს, რომ რასობრივი დისკრიმინაციის განმარტება ძირითად უკავშირდება პოლიტიკურ, რელიგიურ და ეთნიკურ ასპექტებს. საინტერესოა, რომ ქვემო ქართლელი (ეთნიკური აზერბაიჯანელი) რესპონდენტები განსაკუთრებით ხშირად ასახელებენ განსაზღვრებებს, რაც გარდა მათ რელიგიურ, ეთნიკურ იდენტობას, ასევე მათ პოლიტიკურ შეხედულებებსაც კი უკავშირდება.

„მე მინდა ვისაუბრო დისკრიმინაციაზე. ჩვენს რეგიონში, ქვემო ქართლში, არსებობს სამნაირი დისკრიმინაცია – პოლიტიკური, რელიგიური და ეთნიკური. მიმაჩნია, რომ დისკრიმინაცია არის კონკრეტული ქმედება, რომელიც ზღუდავს ჩემს უფლებებს იმის გამო, რომ ვარ სომეხი ან მუსლიმი ან ვინმე სხვა". (ეთნიკური აზერბაიჯანელი რესპონდენტი, ქვემო ქართლი)

„[...]მარნეულში არის სერიოზული პოლიტიკური დისკრიმინაცია არა მარტო განათლების კუთხით, არამედ სპორტშიც კი. ეთნიკური ნიშნით სპორტსმენები წინ ვერ მიდიან დისკრიმინაციის გამო". (ეთნიკური აზერბაიჯანელი რესპონდენტი, ქვემო ქართლი)

დისკრიმინაციის ცნებაზე მსჯელობიდან ჩანს, რომ ეთნიკური უმცირესობებისთვის და მიგრანტებისთვის უთანასწორობა სისტემური პრობლემაა, რომელსაც ისინი განიცდიან ეთნიკური, რელიგიური, წარმომავლობის, ენობრივი ნიშნით როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოების მხრიდან.

2.1.2 რა არის რასობრივი გამორჩევა

საინტერესოა, რომ გამოკითხულ რესპონდენტებს უმარტივდებათ რასობრივი დისკრიმინაციის განმარტება და მას თავისუფლად განიხილავენ სხვადასხვა ჭრილში, თუმცა მათ უჭირთ რასობრივი გამორჩევის განსაზღვრება.

18 ციტატის ორიგინალი ინგლისურენოვანი ინტერვიუს ტრანსკრიპტიდან: *"Discrimination might be separating people, arrogance, also discrimination might be **building** borders **and creating stereotypes** this is what discrimination is for me". (Somali)*

„უკეთ უნდა გავიგო თქვენი შეკითხვა, რომ შევძლო პასუხის გაცემა“. (ნიგერია)[19]

რესპონდენტთა დიდი ნაწილი განმარტავს, რომ რასობრივი დისკრიმინაციაც და გამორჩევაც უთანასწორო მოპყრობაა, თუმცა უჭირთ კონკრეტულად დასახელება, რას გულისხმობს და როგორ პრაქტიკას უკავშირდება რასობრივი გამორჩევის ცნება.

„რთულია მათ შორის განსხვავების დანახვა, რადგან ჩემთვის ორივე ადამიანის უფლებების შეზღუდვასთან ასოცირდება“. (ეთნიკური აზერბაიჯანელი რესპონდენტი, ქვემო ქართლი)

„დისკრიმინაცია ალბათ უფრო პიროვნული მახასიათებლებით ადამიანის უგულებელყოფაა, რასობრივი გამორჩევა კი მისი წარმომავლობის გამო დაჩაგვრა“. (ეთნიკური სომეხი რესპონდენტი, სამცხე-ჯავახეთი)

რაც შეეხება იმ რესპონდენტთა იმ ნაწილს, რომლებიც განმარტავენ რასობრივ გამორჩევას, ძირითადად საუბრობენ *„განსხვავებულად მოქცევაზე“*, რომელიც უკავშირდება „რასას“, რელიგიას, კულტურას თუ სხვა.

„გამორჩევა შეიძლება იყოს კონკრეტული რელიგიის ან კულტურის გამო, როდესაც ერთ სოციუმში ადამიანს განსხვავებულად ექცევიან მისი პიროვნული მახასიათებლების გამო“. (ეთნიკური აზერბაიჯანელი რესპონდენტი, ქვემო ქართლი)

„ჩემთვის გამორჩევა ეს არის... როდესაც აჯგუფებ [ხალხს] იმის მიხედვით, თუ რომელი ქვეყნიდან არის და ამის მიხედვით გამოარჩევ...“ (ნიგერია)[20]

რასობრივი გამორჩევის განსაზღვრებისას რესპონდენტები ხშირად ახსენებენ როგორც კერძო პირების, ისე სახელმწიფო უწყებების, საბანკო და კერძო სექტორის, ასევე საპოლიციო ინსტიტუტების „ქმედებებს“.

თვისებრივი კვლევის თანახმად, ხშირად რასობრივი გამორჩევა განიხილება კულტურულ კონტექსტში. წინამდებარე ილუსტრაციები ვიზუალურად აჩვენებს სიტყვათა ნუსხას, რომლებსაც ყველაზე ხშირად ახსენებდნენ რესპონდენტები საპოლიციო ინსტიტუტებში დისკრიმინაციის განსაზღვრებისას. სიტყვების ანალიზიდან ჩანს, რომ მიგრანტები/უცხოელები ყველაზე ხშირად ასახელებენ სიტყვებს „საშიში“, „რასიზმი“ და კანის ფერთან დაკავშირებული რასისტული შეფასებები. საინტერესოა, რომ კულტურულ ასპექტებთან ერთად, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები ძირითადად საუბრობენ რელიგიურ განსხვავებულობაზე, მაშინ როდესაც მიგ-

19 ციტატის ორიგინალი ინგლისურენოვანი ინტერვიუს ტრანსკრიპტიდან: *"I would like to understand the question more clearly to answer you properly". (Nigeria)*

20 ციტატის ორიგინალი ინგლისურენოვანი ინტერვიუს ტრანსკრიპტიდან: *"For me profiling is like, if you are from this country, you are from this group of people, then there is a way things must go with you if you are being profiled in a particular manner". (Nigeria)*

რანტი რესპონდენტები რასობრივ გამორჩევას ძირითადად განსხვავებულ „რასას“ ან კანის ფერს უკავშირებენ. [21]

ილუსტრაცია №4 – აზიისა და აფრიკის ქვეყნების წარმომადგენელი მიგრანტების მიერ დასახელებული სიტყვები

ილუსტრაცია №5 – ეთნიკური სომხებისა და აზერბაიჯანელების მიერ დასახელებული სიტყვები

სტერეოტიპები
რეაქციამოპყრობა
ვაკრიტიკებ
დუმილს
ყველგან
რასობრივ
მოიტაცეს
ეთნიკურ
გამოძიება
კულტურული
ტრადიცია
პროტესტი
აქტივისტების
ბოლოდ
ველოგიური
ცალ
ფესვ
ბანში
ბოლ
ბ
ბ
ბ

რასობრივ გამორჩევის განმარტებისას რესპონდენტები მკაფიოდ ასხვავებენ, რომ მათთვის გამორჩევა კონკრეტული რელიგიის ან კულტურის გამო ინდივიდის ჩაგვრაა. მიგრანტები აფრიკისა და აზიის ქვეყნებიდან, ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობის წარმომადგენლები საუბრობენ რასობრივი, ეთნიკური, კულტურული და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის, აგრესიის, სტერეოტიპების, სიძულვილის ენის შესახებ, რომელსაც ისინი ხვდებიან ყოველდღიურ ცხოვრებაში, სახელმწიფო დაწესებულებებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ტრანსპორტში, ქუჩაში, საგანმანათლებლო და საბანკო დაწესებულებებში. ამავდროულად, საუბრობენ უსამართლო მოპყრობასა და დისკრიმინაციაზე სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან.

2.1.3 როგორ განსაზღვრავენ რასობრივ გამორჩევას საპოლიციო ინსტიტუტის წარმომადგენლები

გამოკითხული სამართალდამცველების (პოლიციელები და გამომძიებლები) განსაზღვრებით, რასობრივი დისკრიმინაცია უფრო ფართო ცნებაა, რომელიც მოიცავს დანაშაულის ნიშნებსაც, მაშინ როდესაც რასობრივი გამორჩევა გულისხმობს ადამიანთა გამორჩევას რასის მიხედვით, რომელიც *„არ არის დისკრიმინაციული“*.

> *„ჩემი აზრით, რასობრივი დისკრიმინაცია გამორჩევას თავის თავში არ მოიცავს და უფრო ფართო ცნებაა, მე ასე ვფიქრობ, შეიძლება რასობრივად გამოარჩიო, მაგრამ ეს არ იყოს დისკრიმინაციული“. (საპატრულო პოლიცია)*

> *„დისკრიმინაცია, რასობრივი დისკრიმინაცია, უფრო ზოგადი ტერმინია , ნებისმიერი რასის წარმომადგენელი კანონის წინაშე თანასწორია. რასობრივი გამორჩევაა, თუ ჩვენ ვისაუბრებთ გამოძიების ეტაპზე სისხლის სამართლის საქმეებზე იმ მიზეზით, რომ ის მიეკუთვნება კონკრეტულ რასას – ეს იქნება რასობრივი გამორჩევა“. (საგამოძიებო დეპარტამენტი)*

ამასთან, გამოკითხულ პოლიციელთა ნაწილი ყურადღებას ამახვილებს, რომ რასობრივი გამორჩევა შესაძლოა გახდეს დისკრიმინაციის წინაპირობა.

> *„რასობრივი გამორჩევა, როგორც მე მესმის, არის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა პირისადმი მხოლოდ იმიტომ, რომ ის ეთნიკურად სხვა ერის წარმომადგენელია. მე ვფიქრობ, ეს შეიძლება დისკრიმინაციაშიც გადაიზარდოს “. (საპატრულო პოლიცია)*

კვლევამ აჩვენა, რომ რასობრივი გამორჩევის ცნება უცხოა საქართველოში, რადგან არ არსებობს სამართალდამცავ სისტემაში ამგვარი პრაქტიკის წინააღმდეგ პოლიტიკა. ეს ამცირებს დისკრიმინაციის მსხვერპლი ადამიანების წვდომას მართლმსაჯულებაზე და ხელს უწყობს საპოლიციო სისტემაში რასობრივი გამორჩევის პრაქტიკის ნორმალიზებას.

2.2 დისკრიმინაციული გამორჩევის გამოცდილება

2.2.1 დისკრიმინაციული გამორჩევა და სტერეოტიპები

კვლევის ფარგლებში რესპონდენტებმა ისაუბრეს იმ ქსენოფობიურ და რასისტულ გამოცდილებაზე, რომელსაც ისინი ზოგადად საზოგადოებაში აწყდებიან. ეს მაგალითები ყოველთვის არ უკავშირდება სამართალდამცავ უწყებებთან ურთიერთობას, თუმცა მნიშვნელოვნად ახალისებს დისკრიმინაციულ გარემოს, რაც სამართალდამცველების განწყობებზეც აისახება და უმცირესობების ნდობაზეც სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ.

სტერეოტიპთა ერთობლიობა, რომელსაც ძირითადად აფრიკის ქვეყნების წარმომადგენლები იზიარებენ, უკავშირდება მათ „პატიოსნებას", „ნდობის ნაკლებობას", „ქურდობას" და სხვა.

> *„არსებობს ასეთი სტერეოტიპები:* ***ნიგერიელ გოგოებს ყველასთან სურთ სექსი, ბიჭები არიან მოძალადეები, და თუ ფულს შოულობ, ალბათ უკანონო გზით – ქურდობით.*** *ისინი ყველაფერს სტერეოტიპულად უყურებენ და ამას ყველა ხედავს. სკოლის ადმინისტრაცია* ***გექცევა, როგორც ძაღლს.*** *მე პირადად მინდა, აქედან წავიდე". (ნიგერია).*[22]

გამოკითხულ რესპონდენტთა ის ნაწილი, რომელიც საქართველოში შუა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ჩამოვიდა, მიიჩნევს, რომ მათ მიმართ განსაკუთრებით ხშირია ისეთი იარლიყების მიწებება, როგორიცაა „ტერორისტი" ან „საფრთხის შემცველი".

> *„მე მუსლიმი ვარ და ისინი* ***ფიქრობენ, რომ ვარ ტერორისტი ან რაიმე საფრთხეს ვქმნი"****. (ირანი)*[23]

რაც შეეხება შეხედულებებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან დაკავშირებით, ეთნიკურად აზერბაიჯანელ რესპონდენტთა განცხადებით, ხშირად მათ მიიჩნევენ, როგორც „გაუნათლებლებს". ქალებზე ხშირად ამბობენ, რომ ისინი აუცილებლად ადრეულ ასაკში ქორწინდებიან.

> *„ხშირად ტრანსპორტში ქართველები „თათრებს" გვეძახიან და თუ რაიმე ცუდი მოხდება, ჩვენ გვაბრალებენ. თუ აზერბაიჯანელი ხარ, ხშირად თვლიან, რომ გაუნათლებელი ხარ, მიიჩნევენ, რომ აზერბაიჯანელი ქალები აუცილებლად ნაადრევად არიან დაქორწინებული". (ეთნიკური აზერბაიჯანელი რესპონდენტი, ქვემო ქართლი)*

22 ციტატის ორიგინალი ინგლისურენოვანი ინტერვიუს ტრანსკრიპტიდან: *"There are these stereotypes* ***Nigerian girls want to sleep with everyone, guys are thugs, if you are making money it is not clean, probably you are stealing****. They just stereotype all that and everybody sees that; in the* ***school administration they treat you like a dog,*** *personally I just want to be out of here". (Nigeria)*

23 ციტატის ორიგინალი ინგლისურენოვანი ინტერვიუს ტრანსკრიპტიდან: *"I am Muslim, and* ***they think I am terrorist and some kind of danger".*** *(Iran)*

ეთნიკურად სომეხ რესპონდენტთა წარმომადგენლები საუბრობენ არმენოფობიაზე. მათი აზრით, ყველაზე ხშირად იყენებენ იარლიყებს – „მატყუარა“, „ძუნწი“, „მოღალატე“, „ქურდი“. ზოგიერთი რესპონდენტი საქართველოში არსებულ არმენოფობიას მსოფლიოში არსებულ ანტისემიტიზმს ადარებს.

გამოკითხულ რესპონდენტთა ნაწილი საუბრობს გარკვეულ „იარლიყებზე“, რომლებიც სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენლებთან ურთიერთობისას ჩნდება. მათი ნაწილი აღნიშნავს, რომ მათ მიმართ წინასწარ არსებობს სტერეოტიპული განწყობა – რადგან შავკანიანია, შესაბამისად, „კრიმინალია“. მათი გამოცდილებით, კანის ფერი ხშირად განაპირობებს „ეჭვს“ მათ მიმართ და ამიტომაც პოლიცია ქუჩაში უსაფუძვლოდ აჩერებს.

> *„ზოგჯერ პოლიცია აგვედევნება, გვამოწმებს როგორც კრიმინალებს, თუმცა ჩვენ არ ვართ კრიმინალები, ჩვენ უბრალოდ აქ ვსწავლობთ. მოდიან [პოლიცია] და გვთხოვენ ID ბარათს. ვფიქრობთ, ეს უნდა შეიცვალოს. სხვაგვარად ძალიან ბევრი დატოვებს საქართველოს“. (ნიგერია)*[24]

> *„მსგავსი შემთხვევების გამო, აღარ მომწონს საქართველოში ყოფნა. წარმოიდგინეთ, ამდენ ფულს ხარჯავ სასამართლოში და ყველა კუთხეში პოლიცია გაჩერებს. და ეს არ ეხება ყველა უცხოელს, ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც დაინახავენ შავკანიანს, უბრალოდ მოვლენ და ითხოვენ საბუთებს. აქ ბევრი თეთრკანიანი უცხოელია, რომლებსაც არ აქვთ საბუთები, მაგრამ მათ ასე არ ექცევიან. ისეთი შთაბეჭდილება გვიჩნდება, რომ მხოლოდ შავკანიანებს დასდევენ. ასე რომ, მიკერძოებულები არიან“. (ნიგერია)*[25]

რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ ზოგჯერ ქუჩაში მათი უსაფუძვლოდ გამორჩევა სწორედ მათივე კანის ფერითაა განპირობებული.

> *„ასეთი რამ ავტობუსშიც ხდება. მათ ჰყავთ ვინმე, ვინც ამოწმებს ადამიანებს. ამდენი ხალხი ჩამოდის ავტობუსიდან, მაგრამ ისინი კონკრეტულად შავკანიან ადამიანებს სთხოვენ ბილეთის ჩვენებას. ვეკითხები, მე ვიყავი ერთადერთი ადამიანი, ვინც იმ ავტობუსიდან ჩამოვიდა? სულელურად იყურებიან. ვიცი, რომ ერთადერთი შავკანიანი ადამიანი ვარ ავტობუსში, ამიტომ კონკრეტულად მე მეკითხებიან“. (ნიგერია)*[26]

---

24 ციტატის ორიგინალი ინგლისურენოვანი ინტერვიუს ტრანსკრიპტიდან: *"Sometimes.. police harass you, checking your number like you are a criminal, but we are not criminals, we are studying, and we show our ID. This has to change, because it makes so many people leave Georgia". (Nigeria)*

25 ციტატის ორიგინალი ინგლისურენოვანი ინტერვიუს ტრანსკრიპტიდან: *"Because of such cases I can not enjoy being in Georgia. You spend dollars for court and every corner police harass you. It is not about foreigners, it is when they see a black person they will come and ask for ID. There are many white foreigners who do not have papers, but they do not do this. So it became like they are going after black people, they look for black people. So they are more biased". (Nigeria)*

26 ციტატის ორიგინალი ინგლისურენოვანი ინტერვიუს ტრანსკრიპტიდან: *"These kinds of things also happen in the buses, they have someone who checks people, there are so many people coming down from the bus and they ask specifically black people where their tickets is, I am like, am I the only one coming down from that bus? they look foolish, I know I am only one black person in the bus and they ask me specifically, so those are the issues". (Nigeria)*

წინამდებარე ილუსტრაცია ვიზუალურად აჩვენებს სიტყვათა ნუსხას, რომლებსაც ასახელებენ რესპონდენტები და აღნიშნავენ, რომ ეს არის მათი ჯგუფების მიმართ ყველაზე გავრცელებული იარლიყები და სტერეოტიპები.

ილუსტრაცია №6

გამოკითხულ რესპონდენტთა აზრით, არსებული სტერეოტიპების გაძლიერებას ხელს უწყობს ინფორმაციის ნაკლებობა როგორც ზოგადად საზოგადოებაში ასევე სამართალდამცავ სტრუქტურებში. ამ უკანასკნელის ქმედება კი თავის მხრივ განიხილება, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ერთი მხრივ, იწვევს მიგრანტთა დისკრიმინაციას და მეორე მხრივ, ხელს უშლის მათ სრულფასოვან ინტეგრაციას საზოგადოებაში.

2.2.2 დისკრიმინაციული გამორჩევა და გენდერი

გამოკითხულ რესპონდენტთა ნაწილი საუბრობს რასობრივი გამორჩევის ფაქტებზე, რასაც თან ახლავს გენდერული სტერეოტიპებიც. რესპონდენტ ქალთა მნიშვნელოვანი ნაწილი აღნიშნავს, რომ ქალების რასობრივ გამორჩევას ხშირად მათი ჩაცმულობა თუ სხვა გარეგნული მახასიათებელი განაპირობებს.

გამოკითხულ რესპონდენტ ქალთა ნაწილი იხსენებს შემთხვევებს, რომლის დროსაც ისინი დისკრიმინაციული გამორჩევის მსხვერპლნი გახდნენ. რესპონდენტი ქალების თქმით, როგორც კი მათი ჩაცმულობა თუ გარეგნული მახასიათებელი ცხადყოფს მათ ეროვნულ კუთვნილებას, – „არაპრივილეგირებულ, არაევროპულ თუ არაამერიკულს", დაუყოვნებლივ იცვლება მათდამი დამოკიდებულება, რაც ძირითადად გამოიხატება „უხეშ საუბარში". გენდერის ნიშნით დისკრიმინაციული გამორჩევის თემაზე განსაკუთრებით აქტიურად საუბრობენ რესპონდენტები ირანიდან და ეთნიკურად აზერბაიჯანელი რესპონდენტები ქვემო ქართლიდან.

2.2.3 დისკრიმინაციული გამორჩევა და რელიგია

გამოკითხულ რესპონდენტთა ნაწილი იხსენებს დისკრიმინაციული გამორჩევის შემთხვევებს, რომლებიც რელიგიური ნიშნით ხასიათდება.

> *„ვთქვათ, კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების ფონზე, რელიგიურ უმცირესობებს არ ჰქონდათ საშუალება, რომ აღენიშნათ დღესასწაულები, ისე როგორც დომინანტ ეკლესიას. ეს უკვე დისკრიმინაციაა". (ეთნიკური აზერბაიჯანელი რესპონდენტი, ქვემო ქართლი)*

გამოკითხული სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ დისკრიმინაციული გამორჩევის შემთხვევები, რომლებიც რელიგიურ მიკუთვნებულობას უკავშირდება, „ქართულ რეალობაში" არ გვხდება. მათივე განცხადებით, ისინი ცდილობენ, რაც შეიძლება მაქსიმალურად დაიცვან მოქალაქის უფლებები და გაითვალისწინონ რელიგიური აღმსარებლობიდან გამომდინარე ტრადიციები საპოლიციო საქმიანობის აღსრულებისას, – ასეთია სამართალდამცველი რესპონდენტების პოზიცია.

> *„ასეთი ფაქტი იყო: ერთი არაბი ქალბატონი პოლიციელ ქალს უნდა გაეჩხრიკა, ამას ჩვენი კანონიც ითვალისწინებს, თუმცა ქალბატონის სურვილით, მამაკაცი გვერდით ოთახშიც კი არ უნდა ყოფილიყო ". (საპატრულო პოლიციელი)*

ამასთან, საპოლიციო ინსტიტუციის თანამშრომლები აღნიშნავენ, რომ ისინი იცავენ ყველა აღმსარებლობის წარმომადგენლის უფლებებს, თუმცა მაინც არსებობს პოლიციის მიმართ უკმაყოფილება და პროტესტი, რომ საქმეზე რეაგირება სათანადოდ არ ხდება. გამოკითხულ პოლიციელთა ნაწილს მკაფიო ნეგატიური წინასწარი განწყობები აქვს რელიგიურ უმცირესობათა კონკრეტული ჯგუფების მიმართ, მაგალითად, „იეღოველებთან" განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო ან, თუ „ქართველია", მაშასადამე მართლმადიდებელია.

> *„რელიგიურ უმცირესობებთან, მაგალითად, **იეღოველებთან**[27], **ყოველი სიტყვა უნდა აწონ-დაწონო, რადგან მუდმივად აქვთ პროტესტის გრძნობა**. ფიქრობენ, რომ იმიტომ ვეკითხებით, რომ სხვა რელიგიის წარმომადგენელია, წერენ საჩივრებს და სხვა, თუმცა სინამდვილეში კანონი ყველასთვის ერთი და იგივეა. ხშირად მიგვიცია პასუხისმგებლობაში ადამიანი, ვისთანაც მათ პრობლემა ჰქონდათ, ამ შემთხვევაშიც კი **ფიქრობენ, რომ ის არ დაისაჯა სრული სიმკაცრით და ჩვენ ლოიალურად მოვეპყარით მას, რადგან ქართველია".** (საპატრულო პოლიციელი)*

მიუხედავად ამისა, სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი კეთილგანწყობილია და „სჯერა, რომ პოლიცია იცავს თანაბრად, მიუხედავად რელიგიური აღმსარებლობისა".

27 TDI-ს შენიშვნა: „იეღოველი" დამაკნინებელი მნიშვნელობით გამოიყენება და არაკორექტულია. სწორია იეჰოვას მოწმე.

2.2.4 რასობრივი გამორჩევა და სამართალდამცავი სტრუქტურა

თვისებრივი კვლევა აჩვენებს, რომ გამოკითხულ რესპონდენტთა მნიშვნელოვან ნაწილს საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი რასობრივი გამორჩევის შემთხვევა საპოლიციო უწყებებში. პოლიციელთა მიერ რასობრივი გამორჩევის განსაკუთრებით თვალსაჩინო შემთხვევებზე საუბრობენ საქართველოში მცხოვრები უცხოელი რესპონდენტები. მათი ნაწილი აღნიშნავს, რომ, მაგალითად, ეთნიკურად ქართველთან კონფლიქტის შემთხვევაში, ქართველი საპოლიციო სისტემის უპირობო მხარდაჭერით სარგებლობს.

> *„რამდენჯერმე მქონდა პოლიციასთან ურთიერთობა. მგონია, ცოტა მიკერძოებულები არიან, თუკი უცხოელი ხარ. ისინი ქართველებს და უცხოელებს განსხვავებულად ექცევიან, და თუკი საქმე ქართველს და უცხოელს ეხება, ისინი ქართველს დაუჭერენ მხარს". (ნიგერია)*[28]

მნიშვნელოვანია, რომ სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენლების პოზიცია განსხვავებულია და მათი მოსაზრებით, მათ სისტემაში რასობრივი გამორჩევის შემთხვევები არ ფიქსირდება. აღნიშნავენ, რომ სამართალდამცველის ნებისმიერი ქმედების საფუძველი მხოლოდ ქვეყანაში უცხოელის კანონიერად ყოფნის საფუძვლის დადგენაა. თუმცა, მათ მიერ დასახელებულ მაგალითებში ჩანს სტერეოტიპული და დისკრიმინაციული დამოკიდებულება კონკრეტული ქვეყნების წარმომადგენლების მიმართ.

> *„იდეაში ჩვენთვის სულერთია რომელი ქვეყნის წარმომადგენელია, მთავარია, რომ უცხოელია, და ევროპელია თუ ამერიკელი მნიშვნელობა არ აქვს, შვედეთის მოქალაქეც შემიმოწმებია, შვეიცარიისაც და ამერიკისაც.* ***ყველაზე ცუდი გამოცდილება გვაქვს ძირითადად მაინც შავკანიანებთან, კონკრეტულად ნიგერიელებთან. თვითონ არიან აგრესიულები****, მიზეზი არ ვიცი. რაც უნდა ზრდილობიანად მიმართო, იმათგან ყოველთვის აგრესია მოდის, ჰგონიათ, რომ ავიწროებენ, იმიტომ რომ შავკანიანები არიან.* ***ყველაზე კანონმორჩილი და ზრდილობიანები ინდოელები არიან****. ჩვენ ყველა უცხოელს ვაჩერებთ და არა მხოლოდ შავკანიანის, ყველა უცხოელის კანონიერად ყოფნის საფუძველი გვაინტერესებს". (საპატრულო პოლიციელი)*

ამასთან, ნიშანდობლივია, რომ სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენლები იხსენებენ შემთხვევას, რომლის დროსაც საპატრულო პოლიციის წარმომადგენელმა „არასათანადოდ" მიმართა ბოშებს. თუმცა, მათი შეფასებით, აღნიშნულ შემთხვევას სათანადო რეაგირებაც მოჰყვა.

> *„გამახსენდა პოლიციის წინააღმდეგ მოქალაქის მიმართვასთან დაკავშირებული ერთი შემთხვევა: ერთ-ერთმა საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა მიმართა პირს – როგორც „ციგანი", უფლებადამცველმა გაიგონა და მაშინვე გენერალურში [გენერალური ინსპექცია] დარეკა, რომ უნდა მოეხსენებინა,*

28 ციტატის ორიგინალი ინგლისურენოვანი ინტერვიუს ტრანსკრიპტიდან: *"I have had experiences with police several times, I think they are little bit biased ... they are biased if you are foreigner, they treat Georgians and foreigners differently and if case involves Georgians and foreigners, they will rather support Georgians". (Nigeria)*

როგორც ბოშა. ეს პოლიციის თანამშრომელი დაისაჯა – სასტიკი საყვედური გამოუცხადეს". (გამომძიებელი)

მიგრანტ რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ პოლიციასთან ურთიერთობას „თავს არიდებს", რადგან მათ არ ენდობა და თავს უსაფრთხოდ არ გრძნობს. უნდობლობის გამო თავს იკავებენ და პოლიციას იმ შემთხვევებშიც კი არ მიმართავენ, როდესაც ძალადობის ან სხვა დანაშაულის მსხვერპლი ხდებიან.

მიგრანტებისა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ რესპონდენტთა რასობრივი გამორჩევის შემთხვევების გამოცდილება დაჯგუფებულია ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიების მიხედვით:

ჩხრეკა და ქუჩაში გაჩერება

თვისებრივი კვლევა აჩვენებს, რომ გამოკითხული რესპონდენტები ყველაზე ხშირად საუბრობენ უსამართლო ჩხრეკაზე, რომელსაც საფუძვლად უდევს მათი „განსხვავებულობის გამო გამორჩევა". მიგრანტ რესპონდენტთა მოსაზრებით, განსაკუთრებით კანის ფერი აღიქმება, როგორც მაპროვოცირებელი, რომელიც „უსამართლო" და „დაუსაბუთებელი" ჩხრეკის წინაპირობას ქმნის.

ყველაზე ხშირი და აგრესიული ფორმით ჩატარებული ჩხრეკის გამოცდილებაზე ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელი რესპონდენტები საუბრობენ.

„შარშან მარნეულში პოლიციამ ჩაატარა ჩხრეკა , ჩვენ ლაივში ვუყურებდით, სახლის მეპატრონე ვიდეოს ტელეფონით იღებდა, როგორ ატარებდნენ ჩხრეკას. პოლიციამ მეპატრონეს არც კი უთხრა, ვინ იყო, რატომ ჩხრეკდა სახლს და ჰქონდა თუ არა სპეციალური ნებართვა. კითხვებზე კი უხეშად პასუხობდა და სახლიდან გააგდო, თუმცა ვიდეოს ფანჯრიდან იღებდა და ყველამ დაინახა, როგორ ჩადო პოლიციამ ნარკოტიკული საშუალება მაგიდაში. ამით ყველამ ნახა, როგორ მუშაობს პოლიცია რეგიონებში". (ეთნიკური აზერბაიჯანელი რესპონდენტი, ქვემო ქართლი)

საინტერესოა, რომ განსაკუთრებით ეთნიკურად აზერბაიჯანელი რესპონდენტების გამოცდილებით, ქართული ენის არცოდნის შემთხვევებში, სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენელთა აგრესიული ქმედება უფრო იზრდება.

„უფრო აგრესიულები არიან, როდესაც ხედავენ, რომ ქართულად კარგად ვერ საუბრობ. უნივერსიტეტში როდესაც ჩავაბარე, ქუჩაში თითქმის ყოველთვის მაჩერებდნენ და მამოწმებდნენ პოლიციელები". (ეთნიკური აზერბაიჯანელი რესპონდენტი, ქვემო ქართლი)

მიგრანტ რესპონდენტთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, რომ უსამართლო ჩხრეკის პარალელურად, ყველაზე ხშირია დისკრიმინაციული გამორჩევის შედეგად პოლიციელთა მხრიდან მათი უკანონოდ გაჩერების და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოთხოვნის ფაქტები.

„დიახ, ეს ძალიან ხშირად ხდება. ისინი აჩერებენ უცხოელებს და თუ მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წესრიგშია, უშვებენ, თუ არა აყოვნებენ და ამოწმებენ. ამიტომ, მე სულ თან მაქვს ჩემი პირადობა". (ინდოეთი)[29]

საინტერესოა, რომ გამოკითხული სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენლებს განსხვავებული პოზიცია აქვთ. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ადასტურებს, რომ უწევთ უცხო ქვეყნის მოქალაქეების გაჩერება, რადგან, ხშირ შემთხვევაში, ფლობენ ინფორმაციას კონკრეტულ საქმეზე, რომელზეც მიმდინარეობს გამოძიება, ინფორმაციის გადამოწმების მიზნით კი მათი გაჩერება/შემოწმება მნიშვნელოვანია.

„მაგალითად, ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება ქვეყანაში უკანონოდ მყოფი უცხოელების აღმოჩენაა. ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც ქუჩაში დავდივართ, ვხედავთ, უცხოელი პოლიციას თვალს არიდებს, ან შეტრიალდება და მიდის, რაც ობიექტურ ეჭვს იწვევს, რომ გადავამოწმოთ უკანონოდ ხომ არ იმყოფება ქვეყანაში. ... ძირითადად ეს ეხება უფრო ინდოელებს და ირანელებს". (საგამოძიებო უწყების წარმომადგენელი)

„ამ კუთხით პრობლემას ვაწყდებით იმ შემთხვევაში, როდესაც გამოძიება დაწყებულია და კონკრეტული ქვეყნის მოქალაქეზე გვაქვს ინფორმაცია და აღწერილობა. ამ დროს შეიძლება გავაჩეროთ ქუჩაში იმ ქვეყნის მოქალაქეები, მაგრამ მათთვის რთულია იმის ახსნა, რატომ ვაჩერებთ, მათ ექმნებათ ილუზია, რომ ამას ვაკეთებთ რასობრივი გამორჩევის საფუძველზე, მაგრამ ის, რომ რომელიმე ქვეყნის მოქალაქე უმიზეზოდ შევაჩეროთ და გავჩხრიკოთ, ასეთი ფაქტები არ არსებობს". (საპატრულო პოლიციის წარმომადგენელი)

ნიშანდობლივია, რომ თავად საპოლიციო სტრუქტურის წარმომადგენლები ადასტურებენ უცხოელთა დამოკიდებულებას, და თვლიან, რომ ეს მათი მხრიდან „გადამეტებული" რეაქციაა.

„ჩვენ ... ქვეყანაში მათი კანონიერად ყოფნა გვაინტერესებს, მაგრამ როდესაც კანონს არღვევენ და ჩვენც რეაგირებას ვახდენთ, უჩნდებათ აგრესია და ფიქრობენ, რომ ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ ისინი ნიგერიელები არიან. სინამდვილეში კი არანაირი რასობრივი საფუძველი ამას არ აქვს. ჩვენ კანონის წინაშე ვართ ვალდებულები რეაგირება მოვახდინოთ. მათ შეუძლიათ ამის გასაჩივრება და ვაკვალიანებთ, თუ სად შეუძლიათ მიმართონ და გაასაჩივრონ. ძირითადად, თვითონაც ხვდებიან, რომ ჩვენ უბრალოდ კანონიერად ვმოქმედებთ. მაგრამ უმეტესად პრეტენზია აქვთ თავიდან, თითქოს იმიტომ ვაჩერებთ, რადგან ქართველები არ არიან. რა თქმა უნდა, ვუხსნით და ვეუბნებით, რომ ვალდებულები ვართ და ისინიც ჩვეულებრივი მოქალაქეები არიან". (საპატრულო პოლიცია)

29 ციტატის ორიგინალი ინგლისურენოვანი ინტერვიუს ტრანსკრიპტიდან: *"Yes, it has been happening a lot. They stop foreigners if their ID is valid, they let you go, if it is not – they stop and check you, so I have my ID with me all the time". (India)*

რესპონდენტი ადვოკატების მოსაზრებებით, ხშირია ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებისა და მიგრანტების ქუჩაში გაჩერების შემთხვევები. რამდენიმე ადვოკატის თქმით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შორის ყველაზე ხშირად აზიური, აფრიკული და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების წარმომადგენლები ექცევიან სამართალდამცავების ინტერესის არეალში. ქუჩაში გაჩერების საფუძველი მათი საქართველოში ყოფნის კანონიერების შემოწმებაა. იმ შემთხვევაში, თუ პირი ვერ შეძლებს სარწმუნო დოკუმენტის წარმოდგენას, გადაჰყავთ მიგრაციის დეპარტამენტში ან პოლიციის განყოფილებაში.

ადვოკატთა პრაქტიკიდან გამოიკვეთა, რომ სამართალდამცავები ხშირ შემთხვევაში ადამიანებს აჩერებენ კანის ფერის ან სხვა გარეგნული ნიშნების მიხედვით. კერძო პრაქტიკის მქონე ადვოკატი აღნიშნავს, რომ ქუჩაში უსაფუძვლო გაჩერების გარდა, სამართალდამცავები უკანონო ჩხრეკასაც ახორციელებენ. იხსენებს შემთხვევას, როდესაც პოლიციამ პირადად მისი უკანონოდ ჩხრეკაც სცადა კანონიერი საფუძვლის განმარტების გარეშე (ადვოკატი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია).

> *„სამართალდამცავებს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების მიმართ საუბრის განსხვავებული ტონი და ქცევა ახასიათებთ. იმ შემთხვევაში, თუ უმცირესობის წარმომადგენელი შეეპასუხა, უპირობოდ აჯარიმებენ“. (ადვოკატი)*

კვლევის მიმდინარეობისას ადვოკატებმა აღნიშნეს კრიმინალური პოლიციისა და მართლწესრიგის ოფიცრების საქმიანობაზეც. როცა კრიმინალური პოლიციის წარმომადგენლები „რეიდებს“ ახორციელებენ, სამოქალაქო ფორმა აცვიათ და მათი იდენტიფიცირება ხშირ შემთხვევაში რთულია. ამიტომ, მათ მიერ ჩადენილ უკანონო ქმედებებზე სამართლებრივი რეაგირებაც უფრო რთულია. ადვოკატები ამბობენ, რომ ქუჩაში უცხოელებს ხშირად მართლწესრიგის ოფიცრები აკონტროლებენ. რესპონდენტმა ინტერვიუში ასევე აღნიშნა, რომ პოლიციელები ხშირად იკრიბებიან კონკრეტული რელიგიური ჯგუფების თავშეყრის ადგილას მათი წევრების შემოწმების მიზნით.

უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები ნაკლებად არიან ინფორმირებული ქუჩაში გაჩერების შემთხვევების შესახებ. საქართველოს კანონმდებლობით, ისინი პირის დაკავების და ბრალის წარდგენის პროცესში ერთვებიან საქმეში.

გამოუძიებელი საქმეები

საქართველოში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა შეფასებით, ხშირია გამოუძიებელი საქმეები, როცა დაზარალებული ეთნიკურ უმცირესობას ეკუთვნის. მათი გამოცდილებით, განსაკუთრებით პრობლემურია გამოძიების დაწყება და სამართალდამცველების დარწმუნება „ძიების დასაწყებად“. საინტერესოა, რომ გამოკითხულთა შეფასებით, მედიას განსაკუთრებით პოზიტიური გავლენა აქვს გამოსაძიებელ საქმეთა წარმატებით წარმართვაზე.

> *„თუ მედია გააშუქებს, ეს გავლენას ახდენს საქმის აღძვრაზე, თუმცა, შემდგომ როგორ სრულდება ის, ამაზე ინფორმაცია არ გვაქვს და არც მედია ინტერესდება ამით. იყო შემთხვევა, რომ გოგო იძულებით მოიტაცეს, დაინტერესდა მედიაც, იყვნენ პოლიციელებიც, ის ბიჭი კი ჩვეულებრივად გაუშვეს და არავინ*

წერდა, როგორ დასრულდა საქმე". (ეთნიკური აზერბაიჯანელი რესპონდენტი, ქვემო ქართლი)

ეთნიკურ სომეხ რესპონდენტთა განცხადებით, საგამოძიებო სისტემა განსაკუთრებული „გულგრილობით" გამოირჩევა, როდესაც საქმე მათ ეხებათ.

„100-ზე მეტი საქმე იყო შარშან, რომელიც პოლიციამ არ მოიძია, მიუხედავად იმისა, რომ ნინოწმინდაში და ჩემს სოფელშიც ვიცი, რომ მიმართავენ პოლიციას". (ეთნიკური სომეხი რესპონდენტი, სამცხე-ჯავახეთი)

ადვოკატებმა ხაზგასმით აღნიშნეს ეთნიკური უმცირესობების მიმართ გამოუძიებელი საქმეების იდენტური პრაქტიკა. ამ კონტექსტში არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი იხსენებს ორ შემთხვევას:

„მეზობელმა ეთნიკური შეუწყნარებლობით მოტივირებული სავარაუდო დანაშაული ჩაიდინა – განზრახ მკვლელობა. საქმეში არსებობს მტკიცებულება, ვიდეომასალა. ამ დრომდე არავის მიმართ არ დაწყებულა სისხლისსამართლებრივი დევნა".

ადვოკატი იხსენებს პანდემიის პერიოდში სავარაუდო რასობრივი დისკრიმინაციის შემთხვევას:

*„ტაქსით მგზავრობის შემდეგ მგზავრებს, წარმოშობით **შუააზიელებს,** მძღოლმა მოსთხოვა იმაზე მეტი თანხა, ვიდრე საბაზრო ფასით იყო მოსალოდნელი. გაპროტესტებას მოჰყვა აგრესია არა მხოლოდ ტაქსის მძღოლის, არამედ თავდასხმა გამვლელი მოქალაქეების მხრიდანაც. ბენეფიციარები აცხადებდნენ, რომ მათ ესმოდათ სიტყვები – „კორონა" და „ჩინელები". როგორც ჩანს, ისინი ჩინელებს მიამსგავსეს. ბენეფიციარები ამ დრომდე არ არიან დაზარალებულად ცნობილნი, გამოძიების მხრიდან არც რასობრივ მოტივზე მიუთითებიათ, მიუხედავად იმისა, რომ მოწმეების ჩვენება ამ ფაქტს ადასტურებს".*

პატიმრობა, როგორც აღკვეთის ყველაზე ხშირი ღონისძიება

კვლევის ფარგლებში გამოკითხული ადვოკატები – როგორც კერძო, ისე არასამთავრობო და უფასო იურიდიული დახმარების სამსახურიდან – აღნიშნავენ, რომ ეთნიკური უმცირესობებისა და უცხო ქვეყნის მოქალაქე ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას სისტემატური ხასიათი აქვს. უმრავლეს შემთხვევაში ბრალდების მხარე ითხოვს პატიმრობას, შაბლონურად ერთი და იმავე საფუძვლით – რომ არსებობს საქართველოს ფარგლებს გარეთ გასვლის რისკი. სასამართლო თითქმის ყველა შემთხვევაში აკმაყოფილებს ბრალდების მხარის მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით მოთხოვნილ პატიმრობას.

უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი აღნიშნავს, რომ უმეტეს შემთხვევაში მხარეები საპროცესო შეთანხმებას აღწევენ. დისკრიმინაციულად თვლის იმ ფაქტს, რომ სხვა ქვეყნის მოქალაქეების მიმართ უფრო მეტად აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობას იყენებენ.

გულგრილობა და ინფორმაციის არასრულად მიწოდება

გამოკითხულ რესპონდენტთა ნაწილი, ძირითადად ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი რესპონდენტები, საუბრობენ დაჯარიმების შემთხვევაში პოლიციელთა გულგრილ დამოკიდებულებაზე, რაც გამოიხატა მათი მხრიდან დაჯარიმების მიზეზის არასათანადოდ განმარტებაში.

> *„ხშირია, როცა ხალხს [ქვემო ქართლში მცხოვრებ ეთნიკურ აზერბაიჯანელ მოსახლეობას] არ უხსნიან, რატომ აჯარიმებენ და თუ კითხვები აქვთ, ეუბნებიან, რომ იჩივლონ". (ეთნიკური აზერბაიჯანელი რესპონდენტი, ქვემო ქართლი)*

გამოკითხულ რესპონდენტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ რასობრივი გამორჩევის შედეგად პოლიცია იჩენს გულგრილ დამოკიდებულებას მთელ რიგ საკითხებში, რომლებიც მათ ეხებათ. მათი შეფასებით, გულგრილი დამოკიდებულება ძირითადად გამოიხატება „რეკომენდაციებით" ან მხოლოდ „საჩივრის დარეგისტრირებით", და რეალურად „საქმის არგაკეთებით".

> *„ისინი მოქმედებენ იმწუთიერად, ტკივილგამაყუჩებელივით, მაგრამ რეალურად პრობლემას არ აგვარებენ. მქონდა რამდენიმე შემთხვევა და პოლიციას მივმართე დახმარებისთვის, თუმცა ჩემს თხოვნას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. ვის შეგვიძლია მივმართოთ? ჩვენ არ გვჭირდება ზორო. ეს უბრალოდ კანონია, და თუ არა პოლიცია, სხვა ვინ უნდა დაგვეხმაროს"? (ირანი)*[30]

დაკავება და პოლიციის განყოფილებაში გადაყვანა

ხშირად დაკავების პროცესი და სხვა საგამოძიებო მოქმედებები – ჩხრეკა, ამოღება და დათვალიერება – თარჯიმნის მონაწილეობის გარეშე ტარდება. ადვოკატთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ პოლიციის განყოფილებებში ხშირად ყოფილა შემთხვევები, როდესაც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის არ მიუწოდებიათ ინფორმაცია მათი დაკავებისა და განყოფილებაში გადაყვანის კანონიერი საფუძვლების შესახებ.

კერძო ადვოკატი იხსენებს შემთხვევას, როდესაც პოლიციელებმა აფრიკული წარმომავლობის ქალი განყოფილებაში გადაიყვანეს იდენტიფიცირების და მისი ქვეყანაში ყოფნის ლეგალურობის შემოწმების მიზნით. მათ დაკავებულს მიმართეს სიტყვებით – "შოკოლადის გოგონა", ასევე კითხვით – „შენი ბავშვი შავია"?.

არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი იხსენებს საპოლიციო რეიდის დროს ეთნიკურად აზერბაიჯანელი პირის პოლიციის განყოფილებაში უსაფუძვლოდ გადაყვანის შემთხვევას, თუმცა, მას შემდეგ, რაც ორგანიზაცია ჩაერთო საქმეში, დაკავებული დაუყოვნებლივ გათავისუფლდა. ***„ერთ-ერთი შემთხვევა ეხებოდა ეთნიკურად აზერბაიჯანელ პირს, რომელიც დაკავების კანონიერი საფუძვლის გარეშე გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში. მას ნივთები***

30 ციტატის ორიგინალი ინგლისურენოვანი ინტერვიუს ტრანსკრიპტიდან: *"They are doing their best as a painkiller, but they are not solving a problem. Few things happened to me and I went to the police and asked for help but I did not receive any answer. Who can help us, we do not need Zoro, it is just legislation, if the police can not do that, will somebody else do it?". (Iran)*

ჩამოართვეს, რომელთა დაბრუნებას სამი დღის განმავლობაში ცდილობდა“. ამ დრომდე უცნობია ადვოკატისა და მისი ბენეფიციარისთვის დაკავების საფუძველი.

არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი მიიჩნევს, რომ დაკავების დროს ერთ-ერთი მთავარი პრობლემა აფრიკისა და აზიის ქვეყნების წარმომადგენელთა მიმართ სამართალდამცავების „აგდებული“ დამოკიდებულებაა, რაც გამოწვეულია მათი განსხვავებული კულტურითა და ენის არცოდნით.

კერძო ადვოკატი აღნიშნავს, რომ პოლიციელები სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ უმცირესობის წარმომადგენლებს. პრაქტიკიდან იხსენებს შემთხვევას, როცა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს აგინებდნენ ჯერ პოლიციელები, შემდეგ გამომძიებლები და ამავდროულად, ემუქრებოდნენ, რომ როცა მოუნდებოდათ, მაშინ დაიჭერდნენ და დაუმტკიცებდნენ არარსებულ ბრალს.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ვიზუალურად ასახავს სამართალდამცავების დისკრიმინაციული გამორჩევის სხვადასხვა მახასიათებელს, რომელიც რესპონდენტთა გამოკითხვის შედეგად, თემატური ანალიზის მეთოდით გამოვყავით და დავაჯგუფეთ შესაბამისი გეოგრაფიული არეალისა და ეთნიკური/ეროვნული კუთვნილების მიხედვით. ყველაზე განსხვავებულ დისკრიმინაციული გამორჩევის ფაქტებს უცხოელი რესპონდენტები ასახელებენ.

ილუსტრაცია №7



2.2.5 დისკრიმინაციული გამორჩევა და ენობრივი ბარიერი

საინტერესოა, რომ გამოკითხულ რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი საუბრობს, რომ ქართული ენის ცოდნა მნიშვნელოვნად ამცირებს რასობრივი გამორჩევისას ნეგატიურ გამოცდილე-

ბას. აღნიშნავენ, რომ არის შემთხვევები, როდესაც პოლიციელთა დამოკიდებულება იცვლება მას შემდეგ, რაც უმცირესობის წარმომადგენელი ქართულად იწყებს საუბარს.

> *„როდესაც გარეგნობით და ჩაცმულობით ხვდებიან, რომ ქართველი არაა, იწყებენ უხეშად საუბარს, როდესაც ხედავენ, რომ ქართულად საუბრობს, იცვლება დამოკიდებულება. მოსახლეობა დისკრიმინაციაზე მეტად ამითაა გაღიზიანებული". (ეთნიკური აზერბაიჯანელი რესპონდენტი, ქვემო ქართლი)*

საქართველოში მცხოვრები მიგრანტების, ასევე ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფის რესპონდენტთა გამოცდილებით, ქართული ენის არცოდნა მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. ეს უკანასკნელი ფაქტორი განსაკუთრებით აფერხებს როგორც ზოგადად სახელმწიფო სერვისების მიღებას, ასევე ართულებს სამართალდამცავ სტრუქტურებთან თანამშრომლობას.

> *„არა, არ იციან, ძალიან ცოტა სომეხი პოლიციელია. ქართველებმა არ იციან არც სომხური და არც რუსული. მსმენია, რომ ქართულად როდესაც საუბრობ, შეიძლება გაგიშვან, თუმცა თუ სომხურად საუბრობ, შეიძლება დაგაჯარიმონ. ყოფილა ასეთი შემთხვევებიც". (ეთნიკური სომეხი რესპონდენტი, სამცხე-ჯავახეთი)*

მიგრანტ რ ესპონდენტთა ნაწილი საუბრობს, რომ სამართალდამცავ სტრუქტურებთან „კომუნიკაციის სერიოზული პრობლემა" იქმნება, რაც მნიშვნელოვან „გაუგებრობას" ქმნის. საუბრობენ შემთხვევებზე, როდესაც ენის არცოდნის გამო, პოლიცია მათ ჩვენებას აყალბებს და ისეთ მდგომარეობას უქმნის, რომ უარი თქვან ჩივილზე.

> *„მე ვთქვი, რომ გაუგებარი იყო დოკუმენტის შინაარსი, მოვითხოვე თარჯიმანი, მჭირდებოდა, **რადგან მაიძულებდნენ ხელის მოწერას დოკუმენტზე და ვგრძნობდი, რომ რაღაც ისე არ იყო.** მე ვუთხარი, რომ მოეყვანათ თარჯიმანი, ან მოეცათ დოკუმენტი და მე თვითონ ვათარგმნინებდი, სანამ ხელს მოვაწერდი. **ბოლოს მომიყვანეს თარჯიმანი და აღმოჩნდა, რომ დოკუმენტში ეწერა, თითქოს ჩემი საფულე არავის მოუპარავს**. და ეს არ იყო პირველი შემთხვევა, არამედ მეორედ დამემართა მსგავსი რამ. ამიტომ ვთქვი, დავივიწყებ ამ დოკუმენტს და მივდივარ. თუმცა ორმა პოლიციელმა გზა გადამიღობა და მითხრეს, **რომ დამაკავებდნენ, თუ ხელს არ მოვაწერდი. ასე რომ, საბოლოოდ, იძულებული გავხდი დოკუმენტზე ხელი მომეწერა.** სამწუხაროდ, არჩევანი არ მქონდა. ამიტომ ახლა, როდესაც რაიმე შემემთხვევა, აღარ წავალ პოლიციაში, ვიცი, ისინი მაინც არ დამეხმარებიან". (ნიგერია)*[31]

31 ციტატის ორიგინალი ინგლისურენოვანი ინტერვიუს ტრანსკრიპტიდან: *"I said I do not understand this document, get me a translator, I needed a translator because they were forcing me to sign it and I felt something was wrong. I told either you get me a translator or give me the document and I will translate before I can sign. They got me a translator and it was written that no one stole my purse.That was my experience not first but second time, so I told let me just forget about this document, I am leaving, but two policemen blocked me, they told me they would arrest me until I sign the document. So I had to sign the document. I had no other choice. Now when I have such situations I do not go to the police. I know they won't help". (Nigeria)*

სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენელთა მოსაზრებითაც, ენის ცოდნის საკითხი ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

> *„დიდი დრო დაგვჭირდა, რომ გაეგო [უცხოელს, რომელიც გავაჩერეთ], თუ რა ხდებოდა და ის, რომ არ ვართმევდით წამლებს. თარჯიმნის პრობლემაც არის, პირდაპირი კონტაქტი სულ სხვაა, როდესაც მესამე პირი ერთვება, ჯერ მას უნდა აუხსნა. ხშირად არც კი ვარ დარწმუნებული, რომ სწორად აწვდის, რასაც მე ვეუბნები. ენის ბარიერია პრობლემა. თანამედროვე თაობამ უფრო იცის ქართული და მათთან ურთიერთობა ადვილია“. (საპატრულო პოლიცია)*

სამართალდამცველების შეფასებით, თარჯიმნის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ისეთი ქვეყნის წარმომადგენლებთან ურთიერთობისას, რომლებიც ვერ საუბრობენ ინგლისურად, მათ მშობლიურ ენაზე მოსაუბრე თარჯიმნის პოვნა კი მარტივი არ არის, რაც პროცესის გაჭიანურებას იწვევს.

> *„რთულია მათთვის თარჯიმნის პოვნა, არ გვყავს ბევრი ინდური ენის სპეციალისტი. ამიტომ გვიწევს ჯერ ინგლისურად თარგმნა, შემდეგ კი ქართულად“. (გამომძიებელი)*

სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენელთა შეფასებით, გარდა თარჯიმნების ნაკლებობისა, ასევე გამოწვევად რჩება თარგმანის ხარისხი. მათი გამოცდილებით, ხშირად იკარგება საუბრის მთავარი არსი.

> *„როდესაც ხანგრძლივი პროცესია, იკარგება ინფორმაცია. მე რა ემოციითაც ვეკითხები და რაც მსურს, შეიძლება ზუსტად ვერ ითარგმნოს ან თარჯიმანმა თავისი ინტერპრეტაციით თარგმნოს. ასევე გაღიზიანებას იწვევს [უცხოელის] ერთი და იმავეს დაკონკრეტება და თავიდან კითხვა“. (გამომძიებელი)*

ამასთან, საპოლიციო უწყების წარმომადგენლები იხსენებენ, რომ საკმაოდ ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც პირი საუბრობს სხვადასხვა დიალექტზე, რაც კვლავ ართულებს მათი საუბრის გაგებას თარჯიმნებისთვისაც კი.

> *„მათ აქვთ სხვადასხვა დიალექტები. ხშირად თარჯიმანს უთქვამს, რომ პირი სხვა დიალექტზე საუბრობს და ხშირად მთელი დღე დაგვიკარგავს შესაბამისი დიალექტის მცოდნე თარჯიმნის ძებნაში“. (გამომძიებელი)*

საპატრულო პოლიციელები აღნიშნავენ, რომ ხშირად „ჟესტიკულაცია“ მათი ერთადერთი გამოსავალია, პროცესში თარჯიმნის ჩართვამდე რომ გავაგებინოთ, რას ვითხოვთ.

> *„ძირითადი პრობლემა ენობრივი ბარიერია და თარჯიმნის მოსვლამდე გვიწევს, რომ ჟესტიკულაციით ან რაიმე სხვა გზით გავაგებინოთ, რომ გვაჩვენოს დოკუმენტები, რომლებიც გვჭირდება. შეიძლება თარჯიმნის გამოყენება არც დაგვჭირდეს და ამიტომ ვცდილობთ გავაგებინოთ, რომ გვაჩვენოს პასპორტი“. (საპატრულო პოლიცია)*

მნიშვნელოვანია, რომ სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენლების შეფასებით, კომუნიკაციის პრობლემა ხშირად მთავრდება უცხოელთა მხრიდან „უნდობლობით“. შედეგად, პროცესი სრულდება დაკითხვის ოქმის ხელის მოწერაზე უარის თქმით. აღნიშნავენ, რომ თარჯიმნის მიმართ უნდობლობას ხშირად უკავშირებენ პოლიციას, რადგან „უცხოელებს ხშირად თარჯიმნებიც პოლიციის თანამშრომლები ჰგონიათ“.

„ყოფილა ისეთი შემთხვევები, როცა არ ენდობიან ოქმის ჩანაწერებს , ზოგჯერ შეიძლება დაგეთანხმონ, რომ სწორად წერია, თუმცა უნდობლობის გამო მაინც არ მოაწერონ ხელი, ჰგონიათ, რომ თარჯიმანიც პოლიციის თანამშრომელია და წაუკითხა ის, რაც პოლიციისთვისაა მისაღები და არ წაუკითხა, რაც რეალურად წერია. თუმცა, ასეთი უნდობლობა იშვიათია და ხშირად არ ხდება. ენობრივი ბარიერი მაინც ყველაზე რთული პრობლემაა“. (გამომძიებელი)

სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენლების აზრით, სამართალწარმოების პროცესს მნიშვნელოვნად ისიც აფერხებს, რომ საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა საკმაოდ დიდ ნაწილს უჭირს წერა რომელიმე საერთაშორისო ენაზე, რაც ართულებს მათი მხრიდან ოქმზე ხელის მოწერის პროცესს. პოლიციელები და გამომძიებლები საუბრისას გამოყოფენ „ენისა და წერა-კითხვის“ მეტად და ნაკლებად მცოდნე უცხოელებს წარმოშობის ქვეყნის მიხედვით.

„პრობლემა იქმნება, როდესაც გვჭირდება ოქმის შედგენა და მოქალაქემ არ იცის არცერთი საერთაშორისო ენა, ინგლისური, რუსული, ფრანგული ან სხვა. ასევე დიდი პრობლემაა ბანგლადეშელებთან ურთიერთობა, რადგან ბევრ ენაზე საუბრობენ. როდესაც არცერთი ენა არ იციან, შესაბამისად, ვერც ჩვენ ვიგებთ რომელი თარჯიმანი მოვიყვანოთ და გვიწევს რაიმე მინიშნებებით მივახვედროთ. ზოგჯერ საცხოვრებელში მივდივართ მათთან და სხვას ვეკითხებით და ასე შემდეგ, ან მოქალაქეობის მიხედვით ვიგებთ, მაგრამ მოქალაქე შეიძლება იყოს ერთი ქვეყნის და ენა არ იცოდეს. ასევე დიდი პრობლემაა, როდესაც იციან ენა, მაგრამ არ იციან წერა, რადგან ოქმის შესავსებად ეს აუცილებელია. ჩვენ ოქმს ვწერთ ქართულ ენაზე და ითარგმნება, რადგან ხელი უნდა მოეწეროს“. (გამომძიებელი)

მათი განცხადებით, შედარებით მარტივად მიმდინარეობს პროცესი კორეისა და ჩინეთის მოქალაქეებთან, რადგან მათ თავად ჰყავთ თარჯიმანი ან უბრალოდ პირი, რომელიც კომუნიკაციის პროცესს „ამარტივებს“. მათი შეფასებით, ენობრივი ბარიერი განსაკუთრებით შემაფერხებელია სირიის, ბანგლადეშის, ინდოეთის და ნიგერიის მოქალაქეებთან ურთიერთობისას. მნიშვნელოვანია, რომ თარჯიმნის პრობლემა და ენობრივი ბარიერი კიდევ უფრო აქტუალურია საპოლიციო სტრუქტურის წარმომადგენლებისთვის, რომლებიც რეგიონებში მუშაობენ.

„მათთან ურთიერთობა საშინლად რთულია, აუცილებელია დამატებითი პერსონალი – იქნება ეს თარჯიმანი თუ სხვა. ქუთაისში ძალიან გვიჭირს არა რუსებთან და ინგლისურენოვანებთან, არამედ ინდუსებთან, ჩინელებთან და სხვ“. (საპატრულო პოლიცია)

ნიშანდობლივია, რომ თუ სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენლები საუბრობენ ენობრივ საკითხებთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ უცხოელებთან/მიგრანტებთან მიმართებით, მათი აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, რომ ენობრივი საკითხი, როგორც შემაფერხებელი ფაქტორი, საქართველოს მოქალაქე ეთნიკურ უმცირესობებთან ურთიერთობისას არ არსებობს.

კვლევაში მონაწილე ადვოკატების აბსოლუტური უმრავლესობა სახელმწიფო ენის არმცოდნე პირებისთვის მიჩენილი თარჯიმნების კვალიფიკაციასა და მიუკერძოებლობის საკითხს არა მხოლოდ ეჭვქვეშ აყენებს, არამედ საგანგაშო პრაქტიკაზე მიუთითებს. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი ბენეფიციარების დაცვის პროცესში ხშირად აზერბაიჯანულის და სომხურის მცოდნე თარჯიმნის ნაცვლად, რუსულენოვანი თარჯიმანი მოჰყავთ. ასევე აღინიშნა, რომ ეთნიკურად აზერბაიჯანელებს ხშირად თურქულენოვან თარჯიმანს უნიშნავენ, რაც იმთავითვე გულისხმობს თარგმნის არასათანადო ხარისხს.

უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი აღნიშნავს, რომ ერთ-ერთ საქმეზე ბრალდებული თარჯიმნის საუბარს არათუ ვერ იგებდა, არამედ კომუნიკაციასაც ვერ ახერხებდა. შედეგად, ბრალდებულს ჩხრეკის ოქმი სხვაგვარად (ზედაპირულად) უთარგმნეს.

არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი იხსენებს შემთხვევას, როდესაც პოლიციელები დაკავებულთან საკომუნიკაციოდ იყენებდნენ Google translate აპლიკაციას; ასევე შემთხვევას, როდესაც ტელეფონით უკავშირდებოდნენ დაუდგენელ პიროვნებებს და მათი დახმარებით საუბრობდნენ დაკავებულებთან.

როდესაც თარჯიმნები არასწორად აწვდიან ბრალდებულს ინფორმაციას, ადვოკატები, თუკი ესმით კონკრეტული ენა, თავად ცდილობენ ინფორმაციის გასწორებას, მაგრამ ზოგიერთი უცხო ენის შემთხვევაში, მათთვის შეუძლებელია ინფორმაციის სიზუსტის შემოწმება.

კვლევაში მონაწილე ადვოკატების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ თარჯიმნებსა და სამართალდამცველებს შორის კომუნიკაციის და თანამშრომლობის ფორმა ხშირად მიკერძოების ეჭვს აჩენს.

არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატმა ერთ-ერთ საქმეში აღმოაჩინა, რომ არასწორი თარგმანის შედეგად, გამოკითხვის ოქმი სრულიად სხვა სახის ინფორმაციას შეიცავდა, რაც მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მდგომარეობას ართულებდა. ადვოკატის თქმით, ამ კონკრეტულ თარჯიმანთან საგამოძიებო ორგანოები ინტენსიურად თანამშრომლობენ და ეჭვი გაუჩნდა, რომ ეს პირი მიზანმიმართულადაა ჩართული პროცესში.

ერთ-ერთი ადვოკატის ინფორმაციით, თარჯიმანი ბრალდებულს შემდეგი სიტყვებით მიმართავდა: *„რა დუმილის უფლება, ახლა დუმილის უფლებას თუ გამოიყენებ, მოსამართლე გარეთ მაინც არ გაგიშვებს“*. მეორე ადვოკატმა კი აღნიშნა, რომ ერთ-ერთ საქმეში თარჯიმანი ბრალდებულს (ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოქალაქეს) არწმუნებდა, გამოძიებასთან ეთანამშრომლა.

რესპონდენტი ადვოკატების ინფორმაციით, თარჯიმნებს სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის დაკავებულების მიმართ სტერეოტიპული და მტრული განწყობებიც ღიად გამოუვლენიათ, მაგალითად, უთქვამთ – *„ესეც ბარიგა არის“?, „რას გავს“*! და ა.შ.

საქართველოს კანონმდებლობით, სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება მიმდინარეობს სახელმწიფო ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე პირმა არ იცის ან სათანადოდ არ

იცის პროცესის ენა, სახელმწიფო ვალდებულია დანიშნოს თარჯიმანი. თარჯიმანს იწვევს სასამართლო, გამომძიებელი ან პროკურორი. შესაბამისად, თარჯიმანი საგანგებოდ დაქირავებული და პროცესის არსებითი მონაწილე პირია, რომელსაც ნიშნავს სახელმწიფო და რომლის შერჩევაში არ მონაწილეობს დაზარალებული ან ბრალდებული პირი.

2.2.6 რასობრივი გამორჩევა საზღვრის კვეთისას

საქართველოში მცხოვრებ უცხოელ რესპონდენტთა ნაწილი საუბრობს დისკრიმინაციული გამორჩევის შემთხვევებზე, რომლებიც საქართველოს საზღვრის კვეთისთანავე იწყება. განსაკუთრებით ნიგერიელი გამოკითხული რესპონდენტები აღნიშნავენ მათ „მტკივნეულ“ გამოცდილებას, რომელიც აეროპორტშივე შეემთხვათ. მათი შეფასებით, გამორჩევის საფუძველი მხოლოდ „კანის ფერი“ და „ნიგერიული პასპორტი“ იყო.

> *„აეროპორტში როგორც კი გაიგებენ, რომ ნიგერიელი ხარ, მათი რეაქცია აბსოლუტურად განსხვავებულია – არა ისეთი მეგობრული, როგორიც ექნებოდათ, მაგალითად, როდესაც შავკანიანი ადამიანი არის ბრიტანელი“. (ნიგერია)*[32]

გამოკითხული მიგრანტები აღნიშნავენ, რომ საზღვრის კვეთისას მათი შემთხვევები უკავშირდება არა სტანდარტულ პროცედურებს, არამედ, პირველ რიგში, სასაზღვრო პოლიციელების მხრიდან განსხვავებულ ქცევას, რომელთა შორისაა „სატელეფონო ზარი“.

> *„ქვეყანაში როგორც კი შემოდიხარ, მაშინვე სადღაც რეკავენ. ანუ როდესაც ნახავენ პასპორტს, პირველი, რასაც აკეთებენ, იწყებენ რეკვას და ჩვენ გვესმის, რომ ამბობენ – „ნიგერია, ნიგერია“... და ზოგჯერ მათი ხელმძღვანელიც მოდის და მერე იწყებენ ბარგის შემოწმებას“. (ნიგერია)*[33]

ნიშანდობლივია, რომ საზღვრის კვეთისას რასობრივი გამორჩევის შემთხვევებს იხსენებენ ეთნიკურად აზერბაიჯანელი რესპონდენტებიც, როცა მათ დაბრკოლებები ექმნებათ იმ საბაბით, რომ ისინი „ბაზაში წითლად არიან მონიშნული“.

> *ბაქოში მინდოდა წასვლა და საზღვარზე მივაწოდე ბიომეტრიული პასპორტი და **მითხრეს, რომ ვერ გაგიშვებთ, მიზეზი არ ვიცით, ბაზაში წითლად აჩვენებსო.** მე ვუთხარი, რა ხდება, სასამართლოშიც კი არ ვარ დაბარებული მეთქი. მერე მივმართე მარნეულის პოლიციას და ვუთხარი, რომ ბაქოში ოპერაციისთვის უნდა წავსულიყავი, მაგრამ მითხრეს, რომ არაფერს არ აჩვენებდა მათთან ჩემზე. შემდეგ ისევ წავედი და ისევ მითხრეს, რომ არ მიშვებდნენ. მე ახსნა მოვითხოვე, უფროსის ნომერი ვთხოვე და მომცეს ნომერი. დაველა-*

32 ციტატის ორიგინალი ინგლისურენოვანი ინტერვიუს ტრანსკრიპტიდან: *„In the airport, If you are travelling and immediately when they know that you are Nigerian, the way they react to you is totally different, not as friendly as if for example, they get to know that person who is black but British person, yeah, it is different“. (Nigeria)*

33 ციტატის ორიგინალი ინგლისურენოვანი ინტერვიუს ტრანსკრიპტიდან: *"When you come into the country, they get on the phone. When they look at our passport the next thing they do they call and say "Nigeria… Nigeria …"and sometimes probably the provisor or someone comes to the gate and they will check the bag". (Nigeria)*

პარაკე უფროსს და მან მითხრა, რომ ბაზაში არ ვიყავი გაწითლებული. მაშინ რატომ არ მიშვებთ მეთქი, ვკითხე. მერე საბაჟოს წინ პატრულის ეკიპაჟს მივმართე და მათაც მითხრეს, რომ წითელში არ ვიყავი, ასევე მითხრა 112-მა, მერე 124-შიც იგივე მითხრეს". (ეთნიკური აზერბაიჯანელი რესპონდენტი, ქვემო ქართლი)

2.2.7 დისკრიმინაციული გამორჩევა და სახელმწიფო სერვისები

ნიშანდობლივია, რომ კვლევის შედეგების თანახმად, რესპონდენტები რასობრივ გამორჩევაზე საუბრისას, საპოლიციო უწყებების გარდა, ხშირად ახსენებენ ზოგადად სახელმწიფოს და სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუციას. ქვემოთ მოცემული ილუსტრაცია ვიზუალურად წარმოაჩენს, რომ „სახელმწიფო" ყველაზე ხშირად არის ნახსენები რასობრივი გამორჩევის ფაქტების გაზიარებისას.

ილუსტრაცია №8

[34]

government
resident
rejected
account
service
residency
police
permit
organization
institutions
document
passport
ministry
banks
fees
policy
contract
justice
interpreters
education
churches
economy
refusal
permits
manager
permission
organizations
limitations
rejecting
provider
passports
political
financially
judge
laws
pays
employ
lawyer
airport
religion
gate
residence
university
colleges
services
stereotypes
provisor
management
refugees
serious
ეროვნული
ეთნიკური
ეროვნებები
ეროვნებაგებში
ეროვნებაგებ
ეროვნებ
ეროვნ
ეროვ
ეთ
ეთ
ეთ

მათი უმრავლესობა საუბრობს ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენელთა მათდამი „გულგრილ დამოკიდებულებასა“ და „უყურადღებობაზე“. მათი აზრით, ადგილობრივი მთავრობის „გულგრილი დამოკიდებულება“ ხშირად აისახება ინფორმაციის მიღების „გაწელილ პროცესზე.“

მათი აზრით, სწორედ ადგილობრივი მთავრობის „გულგრილობის“ შედეგია, რომ საჯარო ინფორმაცია, როგორც წესი, ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე. ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივი თვითმმართველობების ოფიციალურ ვებგვერდებსა თუ სოციალურ ქსელებში ინფორმაცია ვრცელდება მხოლოდ ქართულ ენაზე, რაც მნიშვნელოვნად ართულებს ადგილობრივი ეთნიკური უმცირესობებისთვის ინფორმაციის დროულად მიღებას.

> *„მუნიციპალიტეტის გვერდზე თქვენ ნახავთ პოსტებს ქართულად, თუმცა ვერ ნახავთ სომხურად. პანდემიის პერიოდში ეს განცხადებები ძალიან მნიშვნელოვანი იყო და როდესაც მივმართე მათ, საუბარზეც კი არ დამთანხმდნენ.“(ეთნიკური სომეხი რესპონდენტი, სამცხე-ჯავახეთი)*

გამოკითხული რესპონდენტები სამცხე-ჯავახეთიდან აღნიშნავენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფს აქვს შესაძლებლობა, მათ მშობლიურ ენაზე მიმართოს განცხადებით მუნიციპალიტეტს, განცხადებაზე თვითმმართველობის პასუხი ქართულ ენაზე მზადდება, რაც საკმაოდ ართულებს ადგილობრივი ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფებისთვის ინფორმაციის მიღებას, საჯარო ცხოვრებაში ჩართულობას და ინტეგრაციას.

საჯარო/სახელმწიფო სერვისებთან წვდომა და ინფორმაციის მოპოვება მნიშვნელოვან პრობლემად სახელდება როგორც ეთნიკური უმცირესობების, ასევე საქართველოში მცხოვრები უცხოელი რესპონდენტების მხრიდან. შესაბამისად, გამოკითხულთა უმრავლესობა საჯარო სერვისების შესახებ ინფორმაციის მოპოვების განსხვავებულ გზებს ასახელებს, მათ შორის – ძირითადად მეგობრებს, ნათესავებს, ოჯახის წევრებსა და სოციალურ ქსელებს. გამოკითხულთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა საუბრობს „ინფორმაციული ვაკუუმის“ შესახებ, რომლის შედეგადაც მათთვის რთულდება ინფორმაციის მიღება და საჯარო სერვისებთან წვდომა.

მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა ნაწილი დადებითად ახასიათებს, მაგალითად, საჯარო სერვისების მიღებას იუსტიციის სახლში, მათი ნაწილი მაინც საუბრობს გარკვეულ გამოწვევებსა და დისკრიმინაციულ გამოცდილებაზე.

> *„სახელმწიფო უწყებებში ზოგჯერ დისკრიმინაციულად გვექცევიან და ვერ ვიღებთ იმ მომსახურებას, რაც გვეკუთვნის. განგვსჯიან სხვა მიზეზების და არა ჩვენი მიზეზების გამო. ჩვენს საქმეებს კარგად არ სწავლობენ “. (ბანგლადეში)*[35]

გამოკითხული რესპონდენტები ყურადღებას ამახვილებენ განსხვავებული მოპყრობის მაგალითებზე, რომელიც განპირობებულია მათი ეთნიკური, რელიგიური კუთვნილებით, ეროვნული წარმომავლობით თუ კანის ფერით. მათი შეფასებით, ეს უკანასკნელი პირდაპირ აისახება

35 ციტატის ორიგინალი ინგლისურენოვანი ინტერვიუს ტრანსკრიპტიდან: *„In state institutions we feel discriminated sometimes and we do not get what we deserve. They judge us regarding other issues, not our issues. They do not investigate our cases clearly". (Bangladesh)*

მათთან ურთიერთობაზე. კომუნიკაცია კი უფრო რთულდება და ზოგჯერ „აგრესიულიც“ ხდება, როდესაც არსებობს ენობრივი ბარიერიც.

> *„მახსოვს, იუსტიციის სახლში ვიყავით, ვაძლევდით პირადობას და [იუსტიციის სახლის წარმომადგენლები] იწყებდნენ რუსულად საუბარს ან ცუდად და უხეშად გვესაუბრებოდნენ და როდესაც ქართულად ვიწყებდით საუბარს, დამოკიდებულება მაშინვე იცვლებოდა, ვითომ აქამდე არ იყავი ადამიანი და ახლა უკვე აღიარებენ, რომ ადამიანი ხარ“. (ეთნიკური სომეხი რესპონდენტი, სამცხე-ჯავახეთი)*

ენობრივი ბარიერი განსაკუთრებით მნიშვნელოვან გამოწვევად სახელდება რეგიონებში. ინფორმირებულობის დაბალი დონე ართულებს სერვისების დროულად და ეფექტიანად მიღებას. უფრო მეტიც, რესპონდენტთა ნაწილი ამბობს, რომ რეალურად სირთულეები იქაც კი იქმნება, სადაც სახელმწიფოს, წესით, მოწესრიგებული აქვს სერვისი და სრულად ხელმისაწვდომია ეთნიკური უმცირესობის ჯგუფებისთვისაც.

> *„იუსტიციის სახლში მისვლამდე უნდა დავჯავშნოთ ვიზიტი და ეს ელემენტარული რამ დიდი პრობლემაა. სოფელში ხშირად მაკითხავენ, რომ დავჯავშნო მათი ვიზიტი, ასეთი ელემენტარული რამეც კი რთულია მათთვის ენობრივი ბარიერის გამო, შემდეგ გავიგეთ, რომ ეს საიტი Mygov.ge სომხურადაცაა, თუმცა ეს ადგილობრივმა მოსახლეობა არ იცის. წარმოგიდგენიათ“?. (ეთნიკური სომეხი რესპონდენტი, სამცხე-ჯავახეთი)*

მიგრანტ რესპონდენტთა დიდი ნაწილი ბინადრობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებულ სირთულეებზე საუბრობს, რაც რესპონდენტთა მოსაზრებით უკავშირდება მათ „არაპრივილეგირებული ქვეყნიდან“ წარმომავლობას. მათი თქმით, ხშირად ბინადრობაზე დაუსაბუთებელ უარს იღებენ ან ნებართვის მიღების პროცესი ხელოვნური ბარიერების გამო ხანგრძლივდება. სახელმწიფოსთან ურთიერთობის ამ გამოცდილებას ისინი აღწერენ, როგორც „დამამცირებელს“ და „იმედგამაცრუებელს“.

> *„ბინადრობის ნებართვაზე ხუთჯერ ან მეტჯერ მივმართე და ყოველთვის ერთსა და იმავე შედეგს ვიღებ. არავითარი ლოგიკური ახსნა არ აქვს, რომ წარადგენ ყველა საჭირო დოკუმენტს და მაინც უარს გეუბნებიან. ეს ჩემზე იმდენად არა ფინანსურად, არამედ მენტალურად მოქმედებს, რადგან ვერ ვიღებ ვერანაირ განმარტებას“. (ნიგერია)*[36]

უფრო მეტიც, მათი ნაწილი საუბრობს ბინადრობის ნებართვის მიღების პროცესში განცდილი „უსამართლობის“ გამო ქვეყნის დატოვების გახშირებულ შემთხვევებზე. მათი ნაწილი ასევე იხსენებს გაჭიანურებულ პროცესს, რომელიც მათთვის ფინანსურ გამოწვევებთანაც არის დაკავშირებული.

36 ციტატის ორიგინალი ინგლისურენოვანი ინტერვიუს ტრანსკრიპტიდან: *"Resident permit, I have applied more than five times and used to get the same results. It does not make sense when you provide all the necessary documents and are still denied. This does not affect me financially, it affects me mentally because you can not get explanations". (Nigeria)*

„თუკი ჩვენ გავაგრძელებთ მიმართვას [ბინადრობის ნებართვის მისაღებად] და ისინი გააგრძელებენ ჩვენგან ფულის აღებას, ბევრი ადამიანი წავა ქვეყნიდან. მე მყავს მეგობრები, რომლებმაც დატოვეს საქართველო იგივე პრობლემის გამო – ბევრჯერ მიმართეს ბინადრობის ნებართვაზე და მიიღეს უარი. ასე რომ, აზრს ვეღარ ვხედავ". (ნიგერია)[37]

საყურადღებოა, რომ კონკრეტული ქვეყნებიდან მიგრანტებს ბინადრობის ნებართვაზე უარს „სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის" არგუმენტით ეუბნებიან. კონკრეტული წარმომავლობის, ეთნიკური, ეროვნული კუთვნილების ადამიანების „საფრთხედ", „საშიშად" და „რისკის შემცველად" წარმოჩენა, სამართალდამცველი და უსაფრთხოების სამსახურების რასობრივი გამორჩევის პოლიტიკაზე შეიძლება მიანიშნებდეს.

„მე ვიცნობ ირანელებს, რომლებსაც უარი უთხრეს ბინადრობის ნებართვაზე, არა იმიტომ რომ ფული არ აქვთ, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ირანელები არიან. მე ვიცნობ ერთ-ერთ ინვესტორს, რომელიც აქ ხარჯავს ფულს და იყიდა სახლიც, მაგრამ მას მოუწია გაეყიდა, რადგან ბინადრობის ნებართვაზე უარი მიიღო. ჩვენც ბევრი ინვესტიცია ჩავდეთ, მაგრამ მეც ვერ მივიღე ბინადრობის ნებართვა. მოკლედ, ბევრ უცხოელს უნდა აქ მუშაობა, მაგრამ კანონი არ არის მოქნილი. ჩვენ რომ შეგვეძლოს მუშობა, ძალიან ბევრისთვის იქნებოდა სარგებლის მომტანი". (ირანი)[38]

„აქ ძალიან ბევრი თეთრკანიანი უცხოელია, რომელსაც არ უწევს ამდენი წვალება, ჩნდება განცდა, რომ ისინი [სახელმწიფო], მხოლოდ შავკანიანებს ერჩიან და ამიტომ სახელმწიფო ძალიან მიკერძოებულია, უფრო მეტიც, კორუმპირებულიც. ისინი ახალისებენ კორუფციის ზრდას, რადგან ბინადრობის ნებართვის მისაღებად გიწევს კორუფციული საშუალებების გამოყენება. მაშინაც კი, როცა ყველა ლეგალური საბუთი ხელთ გაქვს, მაინც კორუფციული გზების ძიება გიხდება". (ნიგერია)[39]

გამოკითხულ მიგრანტ რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა ბინადრობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებულ სირთულეებს ცალსახად უკავშირებს მთავრობის დისკრიმინაციულ პოლიტიკას და მას რასობრივი გამორჩევის ჭრილში განიხილავს.

37 ციტატის ორიგინალი ინგლისურენოვანი ინტერვიუს ტრანსკრიპტიდან: *„If we are applying [for the residence permit] again and again and they keep taking our money, many people will leave. I have friends who left Georgia because of same problem, they applied numerous times and were denied, so it just does not make sense to me". (Nigeria)*

38 ციტატის ორიგინალი ინგლისურენოვანი ინტერვიუს ტრანსკრიპტიდან: *"I have met Iranians who have been denied a resident permit, not because they do not have money, but because they are Iranians. I know an investor who spent money and bought a house, but he had to sell it, because he did not get a resident permit. I have invested much, but I do not get a resident permit. So most foreigners want to work, but law is not favorable. If we could work, everybody would benefit from what we can bring". (Iran)*

39 ციტატის ორიგინალი ინგლისურენოვანი ინტერვიუს ტრანსკრიპტიდან: *"There are many white foreigners who do not have papers but they do not do this, so it becomes like they are going after black people, they look for black people, so they are more biased and the government is even more biased and corrupted. They allow corruption to increase, because you have to use corrupt means to get your resident permit, even if you have legal documents you still have to go after corrupt means to get a resident permit". (Nigeria)*

„მათი გადასაწყვეტია, რომ როცა გაქვს ყველა საჭირო დოკუმენტი, მოგცენ ბინადრობის ნებართვა. არ შეიძლება ამბობდნენ, რომ ბავშვი საფრთხეა ამ ქვეყნისთვის; როცა სასამართლოში მიდიხარ, არ უნდა გეუბნებოდნენ უარს ყოველ ჯერზე. როდესაც მთავრობა მოაგვარებს ამ პრობლემებს, მოგვარდება რასობრივი გამორჩევის საკითხიც". (ნიგერია)[40]

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ დისკრიმინაციული დამოკიდებულება ხშირად განპირობებულია სხვადასხვა სტერეოტიპით, რომლებიც გავრცელებულია ეთნიკური უმცირესობების და აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან მიგრანტების მიმართ. ეს სტერეოტიპები და კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ცოდნის ნაკლებობა სამართალდამცველების რიტორიკაშიც ჩანს. რესპონდენტთა მონათხრობით დასტურდება, რომ რასობრივი გამორჩევის პრაქტიკა ხშირია საქართველოში და მაღალია უნდობლობა სამართალდამცავი სისტემის მიმართ.

40 ციტატის ორიგინალი ინგლისურენოვანი ინტერვიუს ტრანსკრიპტიდან: *"It is up to them to say that okay, if you have all the papers, you are free to have a resident permit. They must not say that the child is a threat to the country, if you go to court they do not need to deny you again and again. Once the government will solve this things from the top, racial profiling will be solved". (Nigeria)*

3. ნდობა სამართალდამცავი სისტემის მიმართ

გამოკითხული რესპონდენტები ხაზგასმით აღნიშნავენ სამართალდამცავი უწყებების მიმართ უნდობლობას. გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ პოლიციელთა გულგრილი დამოკიდებულება განაპირობებს მათი მხრიდან ნდობის ნაკლებობას და აფიქრებინებს პრობლემების „მათგან დამოუკიდებლად, საკუთარი მეთოდებით“ მოგვარებაზე.

ნდობა შედარებით დაბალია სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მცხოვრებ ეთნიკურად აზერბაიჯანელ და სომეხ მოსახლეობას შორის. უფრო მეტიც, მათი შეფასებით, ადგილობრივი პოლიცია არის „სუს-ის [სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური] ხელში, რაც ყველაფერს აზრს აკარგვინებს“.

> *„ხალხი ბოლო დროს არ მიმართავს [პოლიციას], რადგან აქვთ განცდა, რომ აზრი არ აქვს. ხშირად ყოფილა მიმართვები ქურდობაზე, თუმცა რეაგირება არ მოჰყოლია“. (ეთნიკური აზერბაიჯანელი რესპონდენტი, ქვემო ქართლი)*

> *„იყო ასეთი შემთხვევა: მოხდა მკვლელობა და დარეკეს პოლიციაში, პოლიცია კი ნახევარ საათში მოვიდა, მაშინ როდესაც სხვა დროს გამუდმებით დადიან და ყველგან შეხვდებით. ნდობა ნაკლებია, რადგან არაფერს აკეთებენ“. (ეთნიკური სომეხი რესპონდენტი, სამცხე-ჯავახეთი)*

ნიშანდობლივია, რომ უცხოელ/მიგრანტ რესპონდენტთა საკმაოდ დიდი ნაწილი თვლის, რომ საქართველოში მათთვის ცხოვრება გაცილებით უსაფრთხო იყო 5-6 წლის წინ.

> *„მე ვიცი ენა და ამიტომ იმდენად ხშირად არ ვაწყდები პრობლემებს, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ხუთი-ექვსი წლის წინ უფრო უსაფრთხო იყო პოლიციისთვის მიმართვა, ვიდრე ახლა“. (ირანი)*[41]

განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენლებს:

> *„ზოგადად, რამდენ ადამიანთანაც მქონია შეხება, რომლებიც დროებით იმყოფებიან საქართველოში, შემიძლია ვთქვა, რომ აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს განიხილავს ძალიან უსაფრთხო ქვეყნად. ეს თავისთავად არის დაკავშირებული სამართალდამცავ ორგანოებთანაც. რომ არა მათი ნდობა, მე ვფიქრობ, რომ უსაფრთხოების განცდა არ ექნებოდათ. ის განცდა, რომ შეიძლება დისკრიმინაციის მსხვერპლი გახდნენ, მათ არ აქვთ“. (გამომძიებელი)*

41 ციტატის ორიგინალი ინგლისურენოვანი ინტერვიუს ტრანსკრიპტიდან: *“For me, I know the language and I do not get in trouble that often actually, but I think it was safer to go to the police five or six years ago than now...“(Iran)*

სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენლების განცხადებით, ნდობაზე შესაძლოა მოქმედებდეს გამოუძიებელი საქმეები. მათი შეფასებით, მიუხედავად ობიექტური მიზეზებისა, რომლებიც გავლენას ახდენენ საქმის გამოძიების პროცესზე, გამოუძიებელი საქმეები „ბადებს ბევრ კითხვას მოსახლეობაში, რომელიც თავის მხრივ გავლენას ახდენს ნდობაზე“.

როგორც უმცირესობის ჯგუფის, ისე სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენელი რესპონდენტები თანხმდებიან, რომ ეთნიკურ ჯგუფებში განსაკუთრებით მაღალია ნდობა მათსავე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი პოლიციელებისადმი.

> *„ადგილობრივები როდესაც მუშაობენ, მათ ნდობა უფრო მეტი აქვთ“. (ეთნიკური სომეხი რესპონდენტი, სამცხე-ჯავახეთი)*

> *„ალბათ ურჩევნიათ, რომ სომეხს დაელაპარაკონ, ვიდრე ქართველს. ალბათ ეს უფრო ბუნებრივი ინსტინქტია, ვიდრე ნდობა. მაგრამ როდესაც ხვდებიან, რომ მეც იგივე დამოკიდებულება მაქვს, როგორიც სომეხს, ეს პრობლემა მალევე გვარდება“. (გამომძიებელი)*

> *„ჩვენთანაც ასეა, ბევრი აზერბაიჯანელი თანამშრომელი გვყავს და მარტივია დასაქმება. პირიქით, კარგია ეს, გვეხმარებიან აზერბაიჯანელებთან კომუნიკაციაში. მეც რომ წავიდე საზღვარგარეთ, პრობლემა შემექმნას და ჩემი კუთხის ადამიანი შემხვდეს, რა თქმა უნდა, მირჩევნია“. (გამომძიებელი)*

უფასო იურიდიული დახმარების სამსახურისა და არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატებიც მიიჩნევენ, რომ ბენეფიციარები თითქმის არასდროს იყენებენ გასაჩივრების უფლებას და ხშირად თავად აცხადებენ უარს სისტემის წინააღმდეგ სამართლებრივ ბრძოლაზე. აღნიშნული შიში და უნდობლობა ადვოკატს ლოგიკურად მიაჩნია, რადგან მათი საქმეები ან მუდმივად გადადების პროცესშია, ან „თაროზეა შემოდებული“.

სკეპტიკური დამოკიდებულება აქვთ გამოკითხულ ადვოკატებს პოლიციისადმი ნდობის შეფასებისას. რესპონდენტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ეთნიკურ უმცირესობებს და მიგრანტებს არა მხოლოდ პოლიციის, არამედ სხვა სახელმწიფო ინტიტუტების მიმართაც არ აქვთ ნდობა და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება მიმართონ სახელმწიფო სტრუქტურებს.

4. პოლიციის ინფორმირებულობა და დამოკიდებულება კულტურული მრავალფეროვნების მიმართ

გამოკითხულ რესპონდენტთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, მათი გამოცდილება ცხადყოფს, რომ სამართალდამცავი სტრუქტურები ნაკლებად იცნობენ განსაკუთრებით სხვა ქვეყნის ან საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების კულტურულ თავისებურებებს, რაც თავის მხრივ აისახება ნდობისა და სამართალწარმოების ხარისხზე.

> *„ჩვენ რასაც ვაკეთებთ, ჩვენი მხრივ არის ის, რომ გავზარდოთ ცნობადობა კულტურის შესახებ. ეს ძალიან დაეხმარებოდა ქართულ საზოგადოებას. ჩვენ ვიცნობთ ქართულ კულტურას და მათაც უნდა იცოდნენ მეტი ჩვენ შესახებ; მე ჩემი მხრივ ყოველთვის ვცდილობ მეტი ვიცოდე, განსაკუთრებით ქართული კულტურის შესახებ. როდესაც იცნობ კულტურას, უფრო მარტივია, არ დაუშვა შეცდომა და თავიდან აირიდო პრობლემები“. (ნიგერია)*[42]

ნიშანდობლივია, რომ ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფის წარმომადგენელთა აზრით, მნიშვნელოვანია სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენლებს გააზრებული ჰქონდეთ, რა არის „ტრადიცია“ და რა არის „კანონი“. მათი აზრით, ხშირად იმდენად დარღვეულია ბალანსი, რომ ტრადიციად აღიქმება ის, რაც უკანონოა ან – პირიქით.

> *„ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ მათ ჰგონიათ ნაადრევი ქორწინება ჩვენი ტრადიციაა. როდესაც პოლიციელი დანაშაულს ტრადიციად უყურებს, ხარისხიან გამოძიებას როგორ უნდა ველოდეთ? ასევე მიაჩნიათ, რომ ოჯახური ძალადობა პრობლემა არაა. მათ სჭირდებათ ასეთი ტრენინგი, რათა იცოდნენ, რომ ეს დანაშაულია და არა კულტურა და ტრადიცია“. (ეთნიკური აზერბაიჯანელი რესპონდენტი, ქვემო ქართლი)*

> *„იყო ასეთი შემთხვევა: მოიტაცეს გოგონა და პოლიციამ მშობლებს უთხრა, რა მოხდა, ეგ ხო თქვენი ტრადიცია არისო; რომც გამოვიძიოთ, მაინც შერიგდებიანო. პოლიციამ ეს აღიქვა, როგორც ტრადიცია ან წვრილმანი, რომელზე გამოძიების დაწყებაც არ ღირს“. (ეთნიკური აზერბაიჯანელი რესპონდენტი, ქვემო ქართლი)*

შესაბამისად, გამოკითხულ რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენელთა გაძლიერება და ცოდნის გაღრმავება კულტურული მრავალფეროვნების მიმართულებით დადებით გავლენას მოახდენდა პროცესზე. ამავე დროს,

42 ციტატის ორიგინალი ინგლისურენოვანი ინტერვიუს ტრანსკრიპტიდან: *"One of the things we do in our organization is that we advertise cultural awareness. It will help Georgian society. We know Georgian culture and they should know ours as well; I always try to improve my knowledge of culture, especially Georgian and other people as well. When you know culture, you will not make mistakes with them and will avoid many problems". (Nigeria)*

სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენლებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა. მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ ნამდვილად სჭირდებათ მეტი ინფორმაცია კულტურათა თავისებურებებისა და მრავალფეროვნების შესახებ, რაც გაზრდიდა მათ მგრძნობელობას და დაეხმარებოდა პროცესის გაცილებით ეფექტიანად წარმართვაში.

> *„ზოგადად, რაც უფრო მეტი იცი, უფრო ადვილი ხდება ურთიერთობა და მუშაობა. ალბათ უკეთესი იქნებოდა, ტრენინგი თუ ჩატარდებოდა. პოლიციაშიც განსხვავებული ხალხია და ვეკითხებით ერთმანეთს, მაგრამ ყველა კულტურის ცოდნა რთული იქნება". (საპატრულო პოლიცია)*

ნაწილი კი მიიჩნევს, რომ კულტურული მრავალფეროვნების საკითხების შესწავლა საკმაოდ დიდ რესურსებს, დროს და ენერგიას მოითხოვს, და ამ ჭრილში შესაძლოა, მისი მნიშვნელობა გადამეტებულად ფასდებოდეს.

> „კოლეგებმა აღნიშნეს და ერთ რამეში ვერ დავეთანხმები, ***ჩვენ რომ დავიწყოთ ყველა ქვეყნის ტრადიციების შესწავლა, ეს იმდენ დროს წაიღებს, რომ...*** უფრო მნიშვნელოვანი საკითხები არსებობს პოლიციაში. რაც შეეხება კომუნიკაციას, ეს დამოკიდებულია ადამიანთან ურთიერთობის დამყარების *უნარზე. შეიძლება ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანელთანაც ვერ დავამყაროთ კომუნიკაცია, ეს დამოკიდებულია გამოცდილებაზე და ურთიერთობის უნარზე და მგონი, ამაზე ყველას გვაქვს გავლილი ტრენინგები". (გამომძიებელი)*

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ინტერვიუს პროცესში აღნიშნავს, რომ კულტურული კომპონენტის ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა არასაკმარისადაა წარმოდგენილი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის განკუთვნილ ტრენინგებში. ხშირად ტარდება ტრენინგები დისკრიმინაციის საკითხებზე, თუმცა ამ ზოგად, ორდღიან ტრენინგებში, სათანადოდ ვერ იქნება კულტურული მრავალფეროვნების საკითხები ინტეგრირებული. ამიტომ, სამინისტროს წარმომადგენელი უფრო სიღრმისეული ტრენინგების საჭიროებაზე ამახვილებს ყურადღებას.

> *„ეს 2-დღიანი ტრენინგი, რომელიც ევროსაბჭოს მხარდაჭერით ხორციელდება, მოიცავს ყველა სახის დისკრიმინაციულ დანაშაულებს, განმარტებებს, ადგილობრივ და საერთაშორისო კანონმდებლობას, მაგრამ. სამწუხაროდ, 2 დღე ცოტაა ამ ყველაფრისთვის. კულტურულ განსხვავებებსა და მახასიათებლებზე ვერ ვსაუბრობთ, ამას სჭირდება სპეციალური ტრენერი, რომელიც ისაუბრებს აღნიშნულ საკითხებზე, მაგრამ ორდღიან ფორმატში ვერ ესწრება ამ თემების სრულყოფილად გავლა". (შსს, ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის წარმომადგენელი)*

მიუხედავად სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენელთა ნაწილის სკეპტიციზმისა, გამოკითხულთა უმრავლესობა თანხმდება, რომ უმჯობესი იქნება მეტი ცოდნა ჰქონდეთ კულტურული მრავალფეროვნების და თავისებურებების შესახებ. ამასთან, არცერთ გამოკითხულ რესპონდენტს არ მიუღია ამგვარ ტრენინგში მონაწილეობა.

5. როგორ დავძლიოთ რასობრივი გამორჩევა – რეკომენდაციები

რასობრივ გამორჩევასთან ბრძოლა ხანგრძლივი პროცესია და გამართულ, ნათელ და აღსრულებად სამართლებრივ ბაზას უნდა დაეფუძნოს. კვლევამ გვიჩვენა, რომ მნიშვნელოვან პრობლემად ჯერ კიდევ არ აღიქმება სამართლებრივი თუ პოლიტიკური განხილვების თემა. აუცილებლად მიგვაჩნია, რომ რასობრივი გამორჩევის პრობლემის დასაძლევად სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს გრძელვადიანი გეგმა, რომელიც მოიცავს ნორმატიული ბაზის სრულყოფას, სამართალდამცველების პროფესიული უნარების გაუმჯობესებას და საზოგადოებასთან ნდობაზე დაფუძნებულ კომუნიკაციას.

საერთაშორისო გამოცდილებისა და TDI-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების გათვალისწინებით, რასობრივი გამორჩევის პრობლემის დასაძლევად, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მუშაობა შემდეგი მიმართულებებით:

პრობლემის აღიარება

რასობრივი გამორჩევის დაძლევის პროცესი სახელმწიფოს მხრიდან პრობლემის აღიარებით უნდა დაიწყოს. ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს, რომ საპოლიციო სისტემაში არსებობს რელიგიური, ეთნიკური, კულტურული ნიშნით დისკრიმინაციული გამორჩევის პრაქტიკა, რომელიც ამცირებს საზოგადოების ნდობას არა მხოლოდ სამართალდამცავი სისტემის, არამედ ზოგადად, სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ.

იურისტების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადამიანის უფლებათა დამცველი აქტივისტების მიერ პრობლემის გაცნობიერება ასევე ხელს შეუწყობს საზოგადოების ინფორმირებულობას და სათანადო გადაწყვეტილებების მიღებას.

ნორმატიული ბაზისა და რეგულაციების შემუშავება

შემუშავდეს და დაინერგოს სახელმძღვანელო პრინციპები და რეგულაციები, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს და აკრძალავს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ რასობრივ/დისკრიმინაციულ გამორჩევას, შეზღუდავს მათ დისკრეციულ უფლებამოსილებას. მათ შორის:

- საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობით, შემუშავდეს რასობრივი გამორჩევის დეფინიცია;
- დეტალურად გაიწეროს სამართალდამცველთა ეთიკის/ქცევის წესები ყოველი კონკრეტული საპოლიციო მოქმედებისთვის, რაც შეამცირებს რასობრივი გამორჩევის რისკებს;
- აღნიშნული რეგულაციები და ქცევის წესები შემუშავდეს სამართალდამცავი სისტემის ყველა შესაბამისი მიმართულებისთვის, მათ შორის, საპატრულო პოლიციისთვის, გამომძიებლებისთვის, სასაზღვრო პოლიციისთვის და სხვა.

მონაცემების შეგროვება

აუცილებლად მიგვაჩნია სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, პერიოდული კვლევების ჩატარება და გამოქვეყნება. მონაცემები პოლიციის მხრიდან ადამიანების შეჩერების, დოკუმენტების შემოწმების, ჩხრეკის შესახებ, ასევე სასაზღვრო პოლიციის ჩანაწერები და სხვა უნდა მუშავდებოდეს როგორც პოლიციის, ისე დამოუკიდებელი მკვლევრების მიერ.

მონაცემები უნდა შეიცავდეს იმგვარ ინფორმაციას, რაც შესაძლებელს გახდის რასობრივი გამორჩევის კუთხით ანალიზის ჩატარებას.

მონიტორინგი და ანგარიშვალდებულება

სამართალდამცავი სისტემის შესაბამის მიმართულებებში აუცილებელია რეგულარული, დამოუკიდებელი მონიტორინგი რასობრივი გამორჩევის შემთხვევების იდენტიფიცირების მიზნით.

რასობრივი გამორჩევის ყოველ შემთხვევას უნდა მოჰყვეს სათანადო დისციპლინური და სამართლებრივი რეაგირება.

საზოგადოებას რეგულარულად უნდა წარედგინოს ანგარიში რასობრივი გამორჩევის იდენტიფიცირებული შემთხვევებისა და მათზე რეაგირების შესახებ.

პოლიციელთა გადამზადება

პოლიციამ უნდა გაიაროს უწყვეტი ტრენინგი, რათა შეძლოს მიღებული ცოდნის გამოყენება ყოველდღიურ საქმიანობაში. მიგვაჩნია, რომ სწავლებისას აუცილებელია აქცენტის გაკეთება რასობრივი გამორჩევის პრობლემაზე. ეს თემა შეიძლება იქცეს უკვე არსებული ტრენინგების ნაწილად, ან ცალკე ჩამოყალიბდეს სპეციალურ კურსად, სადაც პრაქტიკული სწავლების კომპონენტი იქნება წინ წამოწეული.

მნიშვნელოვანია პოლიციელების ცოდნის ამაღლება კულტურული მრავალფეროვნების საკითხებზე, რათა მათ გამოუმუშავდეთ მრავალფეროვან გარემოში ეთიკური მუშაობის უნარები.

მნიშვნელოვანია მუდმივი ტრენინგი პოლიციელთა სტერეოტიპული, მიკერძოებული და წინასწარი განწყობების დასაძლევად.

რასობრივი გამორჩევის და კულტურული მრავალფეროვნების საკითხებზე სრულფასოვანი სწავლება უნდა დაინერგოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში.

კომუნიკაცია და ჩართულობა

რასობრივი გამორჩევის აღმოსაფხვრელად პოლიციამ პოლიტიკის შემუშავების პროცესში უნდა ჩართოს დაინტერესებული ჯგუფები, რათა მოიპოვოს ნდობა და პატივისცემა. დაინტერესებულ ჯგუფებს შორის ბევრია ისეთი, ვინც სახელმწიფო ენა არ იცის და ეს მათი დისკრიმინაციის საფუძველი ხდება. აუცილებლად მიგვაჩნია ენის კომპონენტზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება და თანამშრომლების იმგვარი როტაცია რეგიონებსა თუ უბნებში, როდესაც გათ-

ვალისწინებული იქნება ენის ცოდნის ელემენტი და ურთიერთობისას არასახელმწიფო ენის გამოყენების ალბათობა.

კვლევამ გვიჩვენა პრობლემის აქტუალობა, თუმცა გამოსავლის ძიებისთვის არ არსებობს დისკუსია დაინტერესებულ მხარეებს შორის. შეუძლებელია რასობრივი გამორჩევის დაძლევის ეფექტიანი სტრატეგიის შექმნა ამგვარი დებატების გარეშე. იმედს ვიტოვებთ, მოცემული კვლევა თავის წვლილს შეიტანს საჯარო დისკუსიაში და წაახალისებს ამ პრობლემის ფართოდ განხილვას.

დანართი: კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი და ამოცანები

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს ეთნიკური უმცირესობების, მიგრანტების, სამართალდამცველების და ადვოკატების გამოცდილების საფუძველზე შეისწავლოს საქართველოში, განსაკუთრებით სამართალდამცავ სისტემაში, რასობრივი გამორჩევის პრაქტიკა. ამასთან, კვლევისას ვსწავლობდით რესპონდენტთა ზოგად განწყობებს და მათ გამოცდილებას, რომელიც უკავშირდება დისკრიმინაციას, სტერეოტიპებს და საზოგადოებაში არსებულ ნეგატიურ განწყობებს ეთნიკური უმცირესობებისა და მიგრანტების მიმართ.

შესაბამისად, კვლევის ფარგლებში, კვლევის მიზნის მისაღწევად, გამოიკვეთა შემდეგი ამოცანები:

- რასობრივი დისკრიმინაციის და რასობრივი გამორჩევის დეფინიცია და გაგება
- რასობრივი გამორჩევა და მასთან დაკავშირებული ცრურწმენები
- საქართველოში დისკრიმინაციული გამორჩევის გამოცდილების შესწავლა
- სამართალდამცავი სისტემის მიმართ ეთნიკური უმცირესობებისა და მიგრანტების ნდობის შესწავლა
- განსხვავებული კულტურის შესახებ დამოკიდებულების და ინფორმირებულობის შესწავლა საპოლიციო სისტემაში.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევისას გამოვიყენეთ მონაცემთა შეგროვების სამაგიდე და თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია. მონაცემთა შეგროვება განხორციელდა 2020 წლის ნოემბრიდან 2021 წლის მარტის პერიოდში.

სამაგიდე კვლევის მონაცემთა შეგროვება

სამაგიდე კვლევისას შევისწავლეთ აშშ-ს, კანადის, ევროკავშირის სახელმწიფოების გამოცდილება. მოვიძიეთ მსგავსი კვლევები, რომელსაც ფუნდამენტური უფლებების დაცვის სააგენტო (FRA) და რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისია (ECRI) ატარებდნენ სხვადასხვა პერიოდში. გავეცანით სხვადასხვა ქვეყნის პოლიციის სამოქმედო გეგმებს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ასევე გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის გადაწყვეტილებებს. აღნიშნული ინფორმაცია დაგვეხმარა თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტის შემუშავებაში, რასობრივი გამორჩევის კონკრეტული მექანიზმების დამუშავებასა და პირველადი რეკომენდაციების შედგენაში.

თვისებრივი კვლევა

თვისებრივი კვლევა შესაძლებელს ხდის სამაგიდე კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის სიღრმისეულ დამუშავებას და ანალიზს. განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ამ საკითხის შესახებ საქართველოში კვლევა აქამდე არ ჩატარებულა და მხოლოდ ლიმიტირებული ინფორმაცია არსებობს. თვისებრივი მეთოდის გამოყენებით შეგროვებული მონაცემები იძლევა იმის საშუალებას, რომ კვლევის ფარგლებში განსაზღვრული ამოცანების შესახებ მომზადდეს დეტალური მიმოხილვითი ანალიზი, რაც დამატებითი კვლევის აუცილებლობას მოითხოვს.

კვლევის ტექნიკა და ინსტრუმენტი

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის, ნორმატიული ბაზის ანალიზის, სიღრმისეული ინტერვიუს და ფოკუსჯგუფის ტექნიკა. თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტად განისაზღვრა სადისკუსიო გეგმა, რომელიც ღია კითხვებისგან შედგებოდა.

შერჩევა და კვლევის სამიზნე ჯგუფები

ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოვიყენებთ მიზნობრივი შერჩევის მეთოდი. რესპონდენტები შეირჩა მათი ეთნიკური კუთვნილების მიხედვით და შერჩევის კრიტერიუმი არ ითვალისწინებდა რესპონდენტთა პირად დისკრიმინაციულ გამოცდილებას. მონაცემთა შეგროვების ეტაპზე ჩატარდა 21 სიღრმისეული ინტერვიუ და 7 ფოკუსჯგუფი სადისკუსიო გეგმის გამოყენებით, რომელიც ძირითადად შედგებოდა ღია კითხვებისგან.

კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე, შეირჩა შემდეგი სამიზნე ჯგუფები:

- საქართველოში მცხოვრები მიგრანტები აფრიკის ქვეყნებიდან (ნიგერია, სომალი)
- საქართველოში მცხოვრები მიგრანტები აზიის ქვეყნებიდან (ირანი, ბანგლადეში, ინდოეთი)
- ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელი მოქალაქეები
- სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ეთნიკური სომეხი მოქალაქეები
- პოლიციელები და გამომძიებლები თბილისიდან და რეგიონებიდან
- ადვოკატები არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, უფასო იურიდიული დახმარების სამსახურიდან და დამოუკიდებელი ადვოკატები.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ვიზუალურად წარმოადგენს კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუთა განაწილებას სამიზნე ჯგუფის მიხედვით:

ეთნიკური უმცირესობებისა და მიგრანტთა ჯგუფებიდან კვლევაში მონაწილეობდა 28 კაცი და 12 ქალი; შინაგან საქმეთა სამინისტროდან მონაწილეობდა 9 ქალი და 6 კაცი; გამოკითხულ ადვოკატთა შორის 5 ქალი და 4 კაცი იყო.

რასობრივი გამორჩევისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ პოლიტიკის ანალიზის მიზნით, დამატებით სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენელთან.

თვისებრივი კვლევის მონაცემთა შეგროვება

თვისებრივი კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, კითხვები იძლეოდა ჩაძიების საშუალებას და მკვლევარს შეეძლო მეტი ინფორმაცია მიეღო რესპონდენტების გამოცდილების, პრობლემის აღქმის თუ მისადმი დამოკიდებულების შესახებ. რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ, დეტალურად დაესაბუთებინათ საკუთარი მოსაზრებები.

ინტერვიუები მიმდინარეობდა 1 საათიდან 1,5 საათამდე. ინტერვიუს ჩატარების დრო თანხმდებოდა წინასწარ. COVID 19-ის პანდემიის გამო დაწესებული რეგულაციებიდან გამომდინარე, ინტერვიუები ჩატარდა ონლაინ, Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით.

დეტალური ტრანსკრიპტების მომზადების მიზნით, რესპონდენტებთან შეთანხმებით, გაკეთდა ინტერვიუების აუდიოჩანაწერი. ტრანსკრიპტებში მონაცემები დეიდენტიფიცირებულია, რაც უზრუნველყოფს რესპონდენტთა კონფიდენციალურობის დაცვას.

მონაცემთა შეგროვების ეტაპზე, დამატებით, ჩართული იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სამი სტუდენტი, რომლებმაც ჩაატარეს 9 სიღრმისეული ინტერვიუ ადვოკატებთან.

თვისებრივი კვლევის მონაცემთა ანალიზი

ინტერვიუს აუდიოჩანაწერის საფუძველზე მომზადებული ტრანსკრიპტები გაანალიზდა თემატური ანალიზის მეთოდის გამოყენებით სპეციალურად თვისებრივი კვლევის დასამუშავებელი პროგრამის, NVivo 12-ის გამოყენებით. აღნიშნული პროგრამით შესაძლებელია მონაცემთა დამუშავება კოდირების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, ასევე, მინიმუმამდე ამცირებს მკვლევ-

რის სუბიექტურობას. მონაცემთა ანალიზის საწყის ეტაპზე გამოიკვეთა ძირითადი თემები, რომლებიც შეესაბამებოდა კვლევის ამოცანებს. ძირითადი თემები შეარჩია მკვლევართა ჯგუფმა, ხოლო შემდეგ ეტაპზე განსაზღვრული თემები დაიყო კატეგორიებად. ამასთან, კოდირებული თვისებრ ივი ინფორმაცია რესპონდენტთა შერჩევის კრიტერიუმების მიხედვითაც გაანალიზდა.

კვლევის ეთიკური ნორმები

თვისებრივი კვლევის გამოყენების დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა. მკვლევრებმა რესპონდენტებს წინასწარ განუმარტეს, რომ მათი ანონიმურობა აბსოლუტურად დაცული იყო, ინტერვიუში მონაწილეობა კი ნებაყოფლობითი. ამასთან, მკვლევრები საწყის ეტაპზევე უთანხმდებოდნენ რესპონდენტებს ინტერვიუს აუდიოჩანაწერის გაკეთების თაობაზე.

ეთიკური ნორმების სრულად დაცვის მიზნით, მკვლევრებმა რესპონდენტებთან დეტალურად განიხილეს: ა) კვლევის მიზანი და ამოცანები; ბ) კვლევის მონაწილეთა უფლებები და მონაცემთა დაცულობა; გ) მონაცემთა კონფიდენციალურობა; დ) რესპონდენტთა კვლევაში ნებაყოფლობით მონაწილეობის საკითხები.

კვლევის შეზღუდვები

კვლევის ძირითადი შეზღუდვა უკავშირდება რესპონდენტების რიცხოვნობას. თვისებრივი კვლევის შედეგები არ არის რეპრეზენტაციული და მისი განზოგადება არ შეიძლება გავრცელდეს ზოგადად საქართველოში მცხოვრებ ყველა უცხოელზე და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელზე. თუმცა, თვისებრივი კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია არის სიღრმისეული, იძლევა ღირებულ ცნობებს რასობრივი გამორჩევისა და დისკრიმინაციის მიმართ დამოკიდებულების და აღქმის შესახებ და, რაც მთავარია, ხსნის ამ დამოკიდებულების ძირითად მიზეზებს.

ამასთან, კვლევის შეზღუდვად შესაძლოა განვიხილოთ მონაცემთა შეგროვება ონლაინშეხვედრების ფორმატში, რაც ამცირებს მგრძნობიარე თემებზე საუბრის სურვილს და ნაკლებად ქმნის თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიისთვის დამახასიათებელი პროექციული ტექნიკის გამოყენების შესაძლებლობას. თუმცა, კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია იძლევა საკმარის თვისებრივ მონაცემს, რომლითაც შესაძლებელია ინფორმაციის დამუშავება, ანალიზი და შეფასება.

კვლევის ფარგლებში დაგეგმილი იყო ინტერვიუების და ფოკუსჯგუფის ჩატარება ბოშათა თემთანაც, როგორც ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად და დისკრიმინირებულ ჯგუფთან. სამწუხაროდ, კოვიდ პანდემიისა და თემის წარმომადგენლებთან პირისპირ შეხვედრის სირთულის გამო, ვერ მოხერხდა საკმარისი რაოდენობისა და ხარისხის ინტერვიუების ჩატარება, რომელიც მიღებული მონაცემების თემატურად დამუშავებისა და განზოგადების შესაძლებლობას მოგვცემდა. TDI სამომავლოდ გეგმავს, ჩაატაროს ბოშების საჭიროებებისა და მათდამი არსებული სტერეოტიპული განწყობების კვლევა.

TDI